F-171
1965

საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს

ბრძანებათა და ინსტრუქციათა

# კრებული

# СБОРНИК
## ПРИКАЗОВ И ИНСТРУКЦИЙ

*Министерства просвещения Грузинской ССР*

**3**

მარტი

F-2925

თბილისი—1965

ეროვნული
ბიბლიოთეკა

რედაქტორი უშ. ობოლაძე
კორექტორი ე. აგლაძე

**ფასი 10 კაპ.**

ხელმოწერილია დასაბეჭდად 14/IV-65 წ. ანაწყობის ზომა 6×10.
ქაღალდის ზომა 60×84. სასტამბო ფორმათა რაოდენობა 4,25.

შეკ. 307. უე—01318 ტ. 5000.

---

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს ბეჭდვითი სიტყვის სახელმწიფო
კომიტეტის მთავარპოლიგრაფმრეწველობის თბილისის სტამბა № 11
ქ. თბილისი, უშ. ჩხეიძის ქუჩა № 19
Тбилисская типография № 11 Главполиграфпрома государственного
комитета Совета Министров Груз. ССР по печати
Тбилиси, ул. Уш. Чхеидзе № 19

ეროვნული ბიბლიოთეკა

## საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს 1965 წლის 13 თებერვლის ბრძანება № 133

### სკოლამდელ დაწესებულებათა მუშაობის გაუმჯობესების ღონისძიებათა შესახებ

როგორც წარმოდგენილი მასალებით, ასევე ადგილზე ჩატარებული შემოწმებით დადასტურდა, რომ წინა წლებთან შედარებით საგრძნობლად გაუმჯობესდა სკოლამდელ დაწესებულებათა პედაგოგიურ-აღმზრდელობითი მუშაობა და სამეურნეო საფინანსო საქმიანობა. აღნიშნულ დაწესებულებათა მუშაობის გაუმჯობესებას ხელი შეუწყო ახალი სახელმძღვანელოს „აღზრდის პროგრამა საბავშვო ბაღებისათვის" გამოცემამ, ინსტრუქციებისა და მეთოდური მითითებების ადგილებზე დაყვანამ, რესპუბლიკური თათბირ-სემინარის ჩატარებამ, მასწავლებელთა დახელოვნების ინსტიტუტის მიერ მოწყობილმა კურს-სემინარებმა. ადგილზე პედკაბინეტებისა და მეთოდგაერთიანებების მუშაობის გაძლიერებამ (ქ. ქ. თბილისი, სოხუმი, ბათუმი, ქუთაისი, ზესტაფონი, ახალციხის, ზუგდიდის, სიღნაღის, თელავისა და სხვა რაიონები).

აღმზრდელთა ერთი ნაწილი დაეუფლა სკოლამდელი ასაკის ბავშვთა სწავლა-აღზრდის მეთოდებს, გულდასმით ემზადება და მაღალ დონეზე ატარებს მეცადინეობებს მშობლიურ ენაში, თვლა-ანგარიშში, სახვით საქმიანობაში, ფიზიკურ და მუსიკალურ აღზრდაში. უკანასკნელ ხანებში დიდი ყურადღება ექცევა ესთეტიკურ აღზრდას; ბევრ საბავშვო ბაღში კეთილმოწყობილია ეზო, შენობის ინტერიერში გამოყენებულია თანამედროვე სტილის ავეჯი, ქსოვილები, გამოჩენილ მხატვართა რეპროდუქციები, ქართული კერამიკის ნიმუშები და სხვ. მუსიკის, სახვითი საქმიანობისა და მშობლიური ენის სწავლების საშუალებით აღმზრდელები უვითარებენ ბავშვებს მუსიკალურ-მხატვრულ გემოვნებასა და ბუნების სილამაზის შეგრძნების უნარს, ყურადღება ექცევა მათ ჩაცმულობასა და სანიტარულ-ჰიგიენური პირობების დაცვას (ქ. თბილისის № 1, 89, 102, 53, 59, 47, 68, 30 საბავშვო ბაღები; № 6 და № 2 სანატორიული ბაგა-ბაღები, ქ. სოხუმის № 11 საბავშვო ბაღი, № 2, 3

ბაგა-ბაღები, ქ. ქუთაისის № 1, 2, 5, 7, 13, 15, 17, 21 საბავშვო ბაღები და № 1 ბაგა-ბაღი, ქ. ბათუმის № 1, 5, 25 საბავშვო ბაღები და № 21 ბაგა-ბაღი. ქ. რუსთავის № 1, ფოთის № 2, ზესტაფონის № 2, ფეროშენადნობის ქარხნის № 2, ახალციხის № 3, 5, მახარაძის № 1, მარნეულის რაიონის სოფ. შაუმიანის საბავშვო ბაღები და სხვ.). შემცირდა სკოლამდელ დაწესებულებებში შეუფერებელი კადრების დანიშვნის ფაქტები. საგრძნობლად გაიზარდა სკოლამდელ დაწესებულებათა ქსელი და განმტკიცდა მათი მატერიალური ბაზა. მწყობრში ჩადგა 20 ახალი ტიპიური შენობა. ბევრ საბავშვო ბაღს ჩაუტარდა მიშენება, კაპიტალური და მიმდინარე რემონტი, შეძენილ იქნა დგამ-ავეჯი, რბილი ინვენტარი, ცენტრალიზებული წესით მომარაგების შემოღების შედეგად გაუმჯობესდა სათამაშოების შეძენის საქმე.

სკოლამდელი დაწესებულებები პასუხისმგებლობით მოეკიდნენ საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს კოლეგიის, უმაღლესი სკოლისა და სამეცნიერო დაწესებულებათა პროფკავშირის რესპუბლიკური კომიტეტისა და პედაგოგიური საზოგადოების რესპუბლიკურ საბჭოს 1963 წლის 25/X-ის ერთობლივ დადგენილებას „სკოლამდელ დაწესებულებათა შენობებისა და ეზოების მხატვრულად გაფორმების საზოგადოებრივი დათვალიერების შესახებ“, გააჩაღეს მუშაობა ეზოების კეთილმოწყობისათვის. ამ დიდმნიშვნელოვან საქმეში ზოგან აქტიურად ჩაბეს საშეფო ორგანიზაციები (ქ. სოხუმის № 1, 3, 4, 11, ოჩამჩირის № 3, თბილისის № 1, 22, 14, 30, 25, 86, 88, 53, 68, 102, 108, № 1, № 2, სადღეღამისო საბავშვო ბაღები, № 2 სანატორიული ბაგა-ბაღი, ქ. ქუთაისის № 1, 2, 5, 7, 13, 14, 17, 21, ქ. ფოთის № 2, ზესტაფონის № 2, მახარაძის № 1 საბავშვო ბაღები და გორის რ-ის სოფ. ტყვიავის ბაგა-ბაღი.

სერიოზული ყურადღება ექცეოდა სკოლამდელი ასაკის ბავშვთა დასვენების ორგანიზაციის საქმეს. გამაჯანსაღებელ ღონისძიებებში გატარდა სულ 27050 ბავშვი, აქედან აგარაკზე გაყვანილ იქნა 12081, ხოლო ადგილზე სამოედნო მუშაობაში ჩაბმული იყო 14969 ბავშვი.

აღსანიშნავია, რომ ქ. თბილისის № 89, სოხუმის № 11 ბაღებმა და ქუთაისის № 1 ბაგა-ბაღმა (გამგეები: ნ. სანებლიძე, დ. ტამბია, დ. ჯაფარიძე) სსრ კავშირის სახალხო მეურნეობის მიღწევათა გამოფენაზე დიდი მოწონება და მაღალი შეფასება დაიმსახურეს, ამავე გამოფენის კანდიდატია ქ. რუსთავის № 1 საბავშვო ბაღი (გამგე თ. ქირია).

მიუხედავად აღნიშნული წარმატებებისა, სკოლამდელ დაწე-

სებულებების მუშაობაში შეინიშნება სერიოზული ხასიათის ნაკლოვანებანი. ბევრ საბავშვო ბაღში სათანადო სიმაღლეზე არ დგას პედაგოგიურ-აღმზრდელობითი მუშაობა, აღმზრდელების ერთი ნაწილი ნაკლებად ზრუნავს თავისი იდეურ-პოლიტიკური დონისა და პედაგოგიური კვალიფიკაციის ამაღლებისათვის, მათ მიერ ჩატარებული მეცადინეობა უშინაარსო და უინტერესოა (გარდაბნის, გეგეჭკორის, ცაგერის რაიონის სოფ. ალპანის და სოფ. ლაილაშის, ზუგდიდის რაიონის შუა ქვალონისა და სხვ.). ზოგ საბავშვო ბაღში ადგილი აქვს დღის რეჟიმის დარღვევის ფაქტებს; დროულად არ ხდება ბავშვების შეკრება და სახლში გასტუმრება, განსაკუთრებით, შაბათობით.

საბავშვო ბაღის ბევრი შენობა შესაკეთებელია, ზოგი ავარიულ მდგომარეობაშია, ბევრი საბავშვო ბაღი მოთავსებულია დაქირავებულ შენობაში (წყალტუბოს, ოჩამჩირის, გალის, წულუკიძის, გარდაბნის, სიღნაღის, თიანეთის და სხვა რაიონები), ზოგს აკლია დგამ-ავეჯი, თეთრეული, სასწავლო ნივთები და სათამაშოები, ზოგიერთი გამგის გულგრილი დამოკიდებულების შედეგად არავითარი ღონისძიება არ არის გატარებული ეზოების კეთილმოწყობისათვის. არადამაკმაყოფილებელია სამედიცინო მომსახურება. ექიმები და ექთნები ნაკლებ პასუხისმგებლობას იჩენენ: ზოგი საბავშვო ბაღი ანტისანიტარულ მდგომარეობაშია (საჩხერის ბაგა-ბაღი, ცაგერის რაიონის ალპანის საბავშვო ბაღი).

სერიოზული ნაკლოვანებანი გამოვლინდა საზაფხულო გამაჯანსაღებელ მუშაობაში როგორც ბინების დაქირავების საკითხში (ქუთაისის № 2, № 4 საბავშვო ბაღები), ასევე კვების პროდუქტების ბავშვებამდე სწორად დაყვანის მხრივ (ქ. თბილისის № 1 გამაჯანსაღებელი, სამტრედიის აგურის ქარხნის საბავშვო ბაღები, ქუთაისის ბაგა-ბაღი, № 27 საბავშვო ბაღი (გამგეები გრძელიშვილი, ახვლედიანი, ფულარიანი, ბიბილეიშვილი). ბევრ საბავშვო ბაღში ჯერ კიდევ სუსტადაა დაყენებული მშობელთა კომიტეტის მუშაობა.

ზოგიერთ სკოლამდელ დაწესებულებაში ადგილი ჰქონდა სასწავლო წლის მოუმზადებლად და დაგვიანებით დაწყების შემთხვევებს (ქ. ქუთაისი, თბილისი, გორი და სხვ.). ზოგიერთი განათლების განყოფილება დიდი დაგვიანებით აგზავნის წლიური მუშაობის ანგარიშებს განათლების სამინისტროში და ისინი ვერ ასახავენ სკოლამდელ დაწესებულებათა მიერ ჩატარებული მუშაობის სრულ სურათს.

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ

1. სკოლამდელ დაწესებულებათა გამგეებმა:

ა) მიიღონ ყოველგვარი ზომები და მოკლე ვადაში გარდაქმნან სკოლამდელ დაწესებულებათა მუშაობა განათლების სამინისტროს მიერ დაშვებული დირექტივების საფუძველზე;

ბ) დასახონ კონკრეტული ღონისძიებანი პედაგოგიურ-აღმზრდელობითი მუშაობის სათანადო სიმაღლეზე დასაყენებლად, შეუქმნან აღმზრდელებს პირობები, რათა თითოეული მათგანი მეცადინეობას ატარებდეს მაღალ პედაგოგიურ დონეზე, ბავშვებისათვის საინტერესოდ და გასაგებად;

გ) განსაკუთრებული ყურადღება მიაქციონ ბავშვთა ესთეტიკურ აღზრდას, შესაფერისად მოაწყონ ეზოები, ჯგუფები და ბუნების კუთხეები;

დ) იზრუნონ აღმზრდელთა იდეურ-პოლიტიკური დონისა და პედაგოგიური კვალიფიკაციის ამაღლებისათვის, სწორად წარმართონ მუშაობის აგეგმვა-აღრიცხვის საქმე, გააუმჯობესონ მშობელთა კომიტეტების მუშაობა;

ე) არ დაუშვან დღის რეჟიმის დარღვევის ფაქტები, მიიღონ მხედველობაში, რომ შაბათსაც მუშაობა მიმდინარეობს ჩვეულებრივად;

ვ) დროულად დაიწყონ მოსამზადებელი მუშაობა საზაფხულო-გამაჯანსაღებელი ღონისძიებებისათვის; არ დაუშვან დარღვევები ბინების დაქირავებისა, კვების პროდუქტებით მომარაგებისა და ბავშვებამდე მისი სწორად დაყვანის საქმეში.

2. განათლების განყოფილებათა გამგეებმა:

ა) განათლების სამინისტროს მიერ დამტკიცებული „სკოლამდელ დაწესებულებათა მეთოდური გაერთიანების დებულების“ თანახმად შექმნან სკოლამდელი აღზრდის მუშაკთა მეთოდგაერთიანება და ხელმძღვანელობა და კონტროლი დააწესონ მათ მუშაობაზე;

ბ) ხელი შეუწყონ შემცვლელი აღმზრდელის პირობების გაუმჯობესებას; ძირითადი აღმზრდელის ადგილის განთავისუფლების შემთხვევაში გადაიყვანონ შემცვლელი ძირითად აღმზრდელად, მისი ცენზის, უნარისა და შესაძლებლობის გათვალისწინებით;

გ) მტკიცედ დაიცვან საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს 1963 წლის 23 ნოემბრის ბრძანება „სკოლამდელ დაწესებულებებში სასწავლო წლის დაწყების ვადების შესახებ“, რემონტებისა და სხვა მოსამზადებელი სამუშაოების ჩატარება გაითვალისწინონ იმ ვარაუდით, რომ სასწავლო წელი დაიწყოს 10 სექტემბერს;

დ) ეს ბრძანება განიხილონ სახალხო განათლების საბჭოს სხდომაზე და დასახონ კონკრეტული ღონისძიებანი სკოლამდელი დაწესებულებების მუშაობის შემდგომი გაუმჯობესებისათვის.

3. კაპიტალური მშენებლობის განყოფილებამ (შ. ბუთიკაშვილი) გააძლიეროს კონტროლი სკოლამდელი დაწესებულებების ობიექტების მშენებლობაზე, მიიღოს გადამჭრელი ზომები, რათა მშენებლობა სრულდებოდეს დადგენილ ვადებში და მაღალხარისხოვნად, ყურადღება მიაქციოს კაპიტალური და მიმდინარე რემონტების ჩატარებას საბავშვო ბაღებში.

4. მომარაგებისა და დამხმარე წარმოებათა სამმართველომ (ამხ. ს. არველაძე) განსაკუთრებული კონტროლი დააწესოს სკოლამდელი დაწესებულებების დგამ-ავეჯით, სასწავლო ნივთებით, რბილი ინვენტარით, სათამაშოებითა და სხვა საჭირო ნივთებით მომარაგების საქმეზე.

5. ეთხოვოს საქართველოს სსრ ჯანმრთელობის დაცვის სამინისტროს პერიოდულად შეისწავლოს და განიხილოს კოლეგიაზე სკოლამდელ დაწესებულებებში სამედიცინო მომსახურების საკითხი.

**საფუძველი:** საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს კოლეგიის 1965 წლის 12 თებერვლის დადგენილება.

საქართველოს სსრ განათლების
მინისტრი **თ. ლაშქარაშვილი**

ეროვნული ბიბლიოთეკა

# საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს 1965 წლის 23 თებერვლის ბრძანება № 164

## ექსტერნატის წესით გამოცდების ჩატარების საქმეში არსებულ ნაკლოვანებათა აღმოფხვრის ღონისძიებათა შესახებ

განათლების სამინისტროს განკარგულებაში არსებული მასალებით, უმაღლეს სასწავლებლებში გამოცდებისა და ზოგიერთი რაიონის (მახარაძე, წყალტუბო) შემოწმების შედეგად დადასტურდა, რომ ექსტერნატის წესით გამოცდების ჩატარების საქმეში ადგილი აქვს სერიოზულ ნაკლოვანებებს. არც თუ იშვიათად საგამოცდო კომისიები ლიბერალურად აფასებენ ექსტერნატის წესით ჩამბარებელთა ცოდნას როგორც ზეპირი, ისე წერითი გამოცდების დროს. არის შემთხვევები, როდესაც გამომცდელი მასწავლებლები და კომისიის წევრები არ ასწორებენ წერით ნამუშევრებს და ისე წერენ დადებით შეფასებებს. ზოგიერთი რაიონისა და ქალაქის განათლების განყოფილებები ექსტერნატის წესით გამოცდებზე უშვებენ სხვა რაიონებისა და ქალაქების მცხოვრებლებს და ზოგჯერ მათი სურვილის მიხედვით გამოყოფენ სკოლებს გამოცდების ჩასატარებლად.

ექსტერნატის წესით გამოცდების ჩატარების საქმეში არსებულ ნაკლოვანებათა აღმოფხვრის მიზნით, ვბრძანებ

1. აფხაზეთისა და აჭარის ასსრ განათლების მინისტრებმა, სამხრეთ ოსეთის ა/ოლქის, რაიონებისა და ქალაქების განათლების განყოფილებათა გამგეებმა:

ა) მტკიცე კონტროლი დააწესონ ექსტერნატის წესით გამოცდების ჩატარებაზე; ყველა გამოცდას დაასწრონ განათლების განყოფილების წარმომადგენელი;

ბ) გამოყონ ექსტერნატის წესით გამოცდების ჩასატარებლად სწავლების ენის მიხედვით ქალაქში ან რაიონულ ცენტრში თითო სკოლა, რაზედაც აცნობონ განათლების სამინისტროს გამოცდების ექსტერნად ჩაბარების ინსტრუქციით დადგენილ ვადებში;

გ) არ დაუშვან სხვა რაიონებსა და ქალაქებში მცხოვრები ახალგაზრდები ექსტერნატის წესით ჩასაბარებელ გამოცდებზე განათლების სამინისტროს სპეციალური ნებართვის გარეშე;

დ) გამოცდის დამთავრებისთანავე გაასწორონ და შეაფასონ წერითი ნამუშევრები მშობლიურ ენა-ლიტერატურასა და მათემატიკაში და დაუყოვნებლივ გამოუგზავნონ ისინი განათლების სამინისტროს სკოლების სამმართველოს;

2. სკოლების სამმართველომ (ამხ. დ. ჯავახია) მტკიცე კონტროლი დააწესოს ამ ბრძანების შესრულებაზე.

**ხაფუძველი**: საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს კოლეგიის 1965 წლის 12 თებერვლის დადგენილება.

საქართველოს სსრ განათლების
მინისტრი თ. **ლაშქარაშვილი**

ეროვნული ბიბლიოთეკა

## საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს 1965 წლის 23 თებერვლის ბრძანება № 167

### ქ. თბილისის № 2 სკოლა-ინტერნატის (მათემატიკა-ფიზიკის გაძლიერებული სწავლებით) სამეცნიერო-მეთოდური საბჭოს შექმნის შესახებ

§ 1.

ქ. თბილისის № 2 სკოლა-ინტერნატში (მათემატიკა-ფიზიკის გაძლიერებული სწავლებით) სასწავლო-აღმზრდელობითი მუშაობის მაღალ დონეზე დაყენებისათვის შეიქმნას სკოლა-ინტერნატის სამეცნიერო-მეთოდური საბჭო;

§ 2.

სამეცნიერო-მეთოდური საბჭოს ამოცანებს შეადგენს:

ა) სასწავლო პროგრამებისა და გეგმების პროექტების წინასწარი განხილვა;

ბ) მათემატიკასა და ფიზიკაში მოწყობილ ოლიმპიადებში გამარჯვებულ მოსწავლეთა, აგრეთვე ადგილებზე გასაუბრებების შედეგად გამოვლინებულ ნიჭიერ ბავშვთა კონტინგენტის შერჩევა სკოლა-ინტერნატში ჩასარიცხავად;

გ) გაკვეთილებზე დასწრება, მეთოდური დახმარების გაწევა და მოწინავე გამოცდილების განზოგადება.

დ) სკოლა-ინტერნატის დირექციისადმი პედაგოგიური შემადგენლობის შერჩევაში დახმარების გაწევა;

ე) სკოლა-ინტერნატის მუშაობის შესწავლა, შემჩნეულ ნაკლოვანებათა გამოსწორების მიზნით საკითხის დაყენება სკოლა-ინტერნატის დირექციისა და საჭირო შემთხვევაში საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს წინაშე.

§ 3.

დამტკიცდეს სკოლა-ინტერნატის სამეცნიერო-მეთოდური საბჭო შემდეგი შემადგენლობით:

1. მუსხელიშვილი ნიკოლოზ ივანეს ძე (თავმჯდომარე) საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდენტი.
2. ვეკუა ილია ნესტორის ძე—აკადემიის ვიცეპრეზიდენტი.
3. ხარშილაძე ფილიპე ილარიონის ძე (მოადგილე) საქართველოს მათემატიკური საზოგადოების ვიცე-პრეზიდენტი და საშუალო სკოლის სექციის თავმჯდომარე.

4. ბერიშვილი გურამ დავითის ძე (მდივანი)—მათემატიკის ინსტიტუტის მეცნიერ-თანამშრომელი.

5. ბეროზაშვილი ირაკლი გიორგის ძე—საქართველოს სსრ განათლების მინისტრის მოადგილე.

6. ხარაძე ევგენი კირილეს ძე—თბილისის სახ. უნივერსიტეტის რექტორი.

7. ხარაძე არჩილ კირილეს ძე—თბილისის სახ. უნივერსიტეტის მათემატიკური ანალიზის კათედრის გამგე.

8. ლორთქიფანიძე დავით ონისიმეს ძე—პედაგოგიური საზოგადოების პრეზიდენტი.

9. ჯავახია დავით ამბაკოს ძე—სკოლების სამმართველოს უფროსი.

10. ჩინჩალაძე ვლადიმერ ივანეს ძე—სკოლა-ინტერნატებისა და საბავშვო სახლების სამმართველოს უფროსი.

11. ბებურიშვილი მიხეილ ნიკოლოზის ძე—სკოლების სამმართველოს ინსპექტურის უფროსი.

12. ფოფხაძე გრიგოლ გიორგის ძე—პედმეცნიერებათა ინსტიტუტის დირექტორი.

13. ტყემალაძე ტერენტი ეფრემის ძე—სახელმძღვანელოების განყოფილების უფროსი.

14. ნათაძე რევაზ გრიგოლის ძე—სახ. უნივერსიტეტის ფსიქოლოგიის კათედრის გამგე.

15. ჯურხაძე დავით ივანეს ძე—სკოლა-ინტერნატის დირექტორი.

16. თევზაძე ნიკოლოზ რაჟდენის ძე—თბილისის სახ. უნივერსიტეტის მექანიკა-მათემატიკის ფაკულტეტის დეკანი.

17. ქილაშვილი გურამ ალექსანდრეს ძე—თბილისის სახ. უნივერსიტეტის ფიზიკის ფაკულტეტის დეკანი.

18. მანჯავიძე გიორგი თერეფონტეს ძე—მათემატიკის ინსტიტუტის დირექტორის მოადგილე.

19, ფხაკაძე შალვა სამსონის ძე—მათემატიკის ინსტიტუტის უფროსი მეცნიერი თანამშრომელი.

20 წერეთელი ოთარ დიმიტრის ძე—მათემატიკის ინსტიტუტის უფროსი მეცნიერი თანამშრომელი.

21. კოკილაშვილი ვახტანგი მიხეილის ძე—მათემატიკის ინსტიტუტის მეცნიერი თანამშრომელი.

22. აბდულაევი რამაზ ნიკოლოზის ძე—მათემატიკის ინსტიტუტის მეცნიერი თანამშრომელი.

23. ინასარიძე ხვედრი ნიკოლოზის ძე—მათემატიკის ინსტიტუტის მეცნიერი თანამშრომელი.

24. ჯანაშია გიგლა აკაკის ძე—მათემატიკის ინსტიტუტის მეცნიერი თანამშრომელი.

§ 4.

სამეცნიერო-მეთოდურმა საბჭომ მუშაობა წარმართოს წინასწარ შედგენილი გეგმის მიხედვით. საბჭოს შეკრება ჩატარდეს საჭიროების მიხედვით, მაგრამ მეოთხედში არანაკლებ ერთისა.

**საფუძველი:** საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს კოლეგიის 1965 წლის 29 იანვრის დადგენილება.

საქართველოს სსრ განათლების
მინისტრი **თ. ლაშქარაშვილი**

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ვ ა მ ტ კ ი ც ე ბ
საქართველოს სსრ განათლების
მინისტრი თ. ლაშქარაშვილი
1965 წლის 29 იანვარი

## ქ. თბილისის № 2 სკოლა-ინტერნატის (მათემატიკა-ფიზიკის გაძლიერებული სწავლებით)

## დ ე ბ უ ლ ე ბ ა

1. ქ. თბილისის № 2 სკოლა-ინტერნატი (მათემატიკა-ფიზიკის გაძლიერებული სწავლებით) არის ზოგადსაგანმანათლებლო სასწავლო-აღმზრდელობითი დაწესებულება, რომელიც მიზნად ისახავს მათემატიკისა და ფიზიკის შესწავლისადმი განსაკუთრებული მიდრეკილებისა და უნარის მქონე ბავშვებს შეუქმნას პირობები ამ მიდრეკილებისა და უნარის ყოველმხრივი გამოვლინებისა და განვითარებისათვის.

2. სკოლა-ინტერნატში უნდა იყოს შექმნილი ხელსაყრელი პირობები მოსწავლეთა ყოველმხრივი ზოგადი და პოლიტექნიკური განათლებისათვის, ფიზიკური და ესთეტიკური განვითარების, მათში მაღალი მორალური თვისებებისა და შრომითი ჩვევების აღზრდისათვის.

3. ამ ამოცანების წარმატებით შესასრულებლად სკოლა-ინტერნატი თავის სასწავლო-აღმზრდელობით მუშაობაში თანამიმდევრულად ახორციელებს ლენინურ მოთხოვნას — ცხოვრებასთან სკოლის კავშირის შესახებ.

4. სკოლა-ინტერნატი იმყოფება საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს გამგებლობაში.

5. სკოლა-ინტერნატი შედგება VIII—X კლასებისაგან.

6, სკოლა-ინტერნატს აქვს სასწავლო კორპუსი, საცხოვრებელი კორპუსი, კვების ბლოკი, სპორტული მოედანი და სასწავლო-საცდელი მიწის ნაკვეთი.

სკოლა-ინტერნატის სასწავლო კორპუსს აქვს: საკლასო ოთახები, სასწავლო კაბინეტები (ფიზიკის, ქიმიის, ბიოლოგიის, ხაზვის, ელექტროტექნიკის და სხვა), სააქტო და ფიზკულტურული დარბაზები, ბიბლიოთეკა—სამკითხველო დარბაზით, რადიოკვანძი, სამას-

წავლებლო, დირექტორის, დირექტორის მოადგილის სასწავლო-სა-აღმზრდელო მუშაობის დარგში და ექიმის კაბინეტები, მოსწავლეთა ორგანიზაციების ოთახი, სარეკრეაციო ფართობი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

სკოლა-ინტერნატის საცხოვრებელ კორპუსს აქვს საძინებელი ოთახები, ჯგუფების ოთახები (დასვენების ოთახები), სასტუმრო (აღსაზრდელების მშობლებთან შესახვედრად), უფროსი აღმზრდელის, აღმზრდელებისა და მორიგე ტექნიკური პერსონალის ოთახები, სამზარეულო, თეთრეულის შესანახი, პირსაბანი და ჰიგიენის ოთახები, საპარიკმახერო-საშხაპე სათავსო და სხვ.

7. სკოლა-ინტერნატთან იქმნება სამეცნიერო-მეთოდური საბჭო, რომლის ფუნქციებს განსაზღვრავს და მის შემადგენლობას ამტკიცებს საქართველოს სსრ განათლების სამინისტრო.

8. ბავშვები სკოლა-ინტერნატში ჩაირიცხებიან მშობლების ან მათი შემცვლელი პირების სურვილით საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს მიერ დადგენილი მიღების წესების შესაბამისად.

ამ სკოლა-ინტერნატში ჩაირიცხებიან მათემატიკასა და ფიზიკაში მოწყობილ ოლიმპიადებზე გამარჯვებულნი, ადგილებზე ჩატარებული გასაუბრების შედეგად გამოვლინებული ისეთი მოსწავლეები, რომელთაც აქვთ განსაკუთრებული მიდრეკილება მათემატიკისა და ფიზიკის შესწავლისადმი.

9. სკოლა-ინტერნატში აღსაზრდელები სრულ სახელმწიფო კმაყოფაზე იმყოფებიან.

10. სკოლა-ინტერნატში მუდმივად მცხოვრებ მოსწავლეებთან ერთად შეიძლება სწავლობდნენ მომსვლელი ბავშვებიც.

11. მშობლები, რომელთაც შვილები ჰყავთ სკოლა-ინტერნატში, ვალდებულნი არიან დაეხმარონ პედაგოგიურ კოლექტივს მათ აღზრდაში და უზრუნველყონ ბავშვების სწორი აღზრდა ოჯახში მათი ყოფნის დროს.

სკოლა-ინტერნატის დირექტორის ნებართვით და მშობლების ან მათი შემცვლელი პირების სურვილით მოსწავლეები შეიძლება გაშვებული იქნან სახლებში კვირა და უქმე დღეებში.

12. 14—18 წლამდე ასაკის ორივე სქესის ბავშვების აღზრდასა და სწავლებას სკოლა-ინტერნატი ახორციელებს საშუალო ზოგადსაგანმანათლებლო პოლიტექნიკური სკოლის მოცულობით ყველა საგანში, ხოლო მათემატიკასა და ფიზიკაში განსაკუთრებული პროგრამით, სკოლა ინტერნატი მოსწავლეებს აძლევს ზოგად განათლებას უმაღლეს სასწავლებელში სწავლის გასაგრძელებლად და ამავე დროს უზრუნველყოფს სახალხო მეურნეობის სხვადასხვა დარგში პრაქტიკული საქმიანობისათვის მათ მომზადებას.

სკოლა-ინტერნატში სწავლება სწარმოებს საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს მიერ დამტკიცებული სასწავლო გეგმით და პროგრამებით.

13. თვითეულ VIII კლასში მოსწავლეთა რაოდენობა (ასევე ჯგუფში აღსაზრდელთა რაოდენობა) განისაზღვრება 35, ხოლო IX—X კლასებში 30 მოსწავლით.

14. სკოლა-ინტერნატში სასწავლო-აღმზრდელობითი მუშაობა ითვალისწინებს საგნების სწავლებასთან ერთად მოსწავლეთა მრავალფეროვან შრომით საქმიანობას თვითმომსახურებისა და საზოგადოებრივ-სასარგებლო შრომის სახით. შრომით პროცესში მტკიცედ უნდა იყოს დაცული ბავშვთა ასაკობრივი თავისებურებანი.

15. სკოლა-ინტერნატის სასწავლო მუშაობაში გამოიყენება მუშაობის სხვადასხვაგვარი მეთოდები, რომლებიც უზრუნველყოფენ მოსწავლეთა მიერ ცოდნის შეგნებულსა და მტკიცე შეთვისებას გაკვეთილზე, სხვადასხვაგვარ პრაქტიკულ მეცადინეობათა პროცესში, წრეობრივ მუშაობაში, რომლებიც ხელს უწყობენ მათ გონებრივ განვითარებას, დამოუკიდებელი შრომითი ჩვევებისა და მიღებული ცოდნის პრაქტიკაში გამოყენების უნარის გამომუშავებას.

გარდა გაკვეთილისა, რომელიც სასწავლო მუშაობის ძირითად ფორმას წარმოადგენს, სკოლა-ინტერნატში ფართოდ გამოიყენება სასწავლო მუშაობის სხვა ფორმები—ექსკურსიები, პრაქტიკული სამუშაოები და სხვ.

16. სკოლა-ინტერნატში უზრუნველყოფილ უნდა იქნეს დღის რეჟიმის სწორი ორგანიზაცია, რაციონალური კვება, მოსწავლეებში ჰიგიენური ჩვევების დანერგვა, ყოველდღიური დილის ვარჯიშები (წყლის პროცედურებით) აღსაზრდელთა ორგანიზმის სისტემატური გაკაჟება, მეცადინეობისა და კლასგარეშე მუშაობის პროცესში ტანვარჯიშული ილეთებისა და და სპორტის სხვადასხვა სახეში მეცადინეობა მოსწავლეთა ასაკის გათვალისწინებით. ჯომარდ თამაშობათა ჩატარება და შეჯიბრებების მოწყობა, გასეირნებები და ტურისტული ლაშქრობები, შრომითი საქმიანობა სუფთა ჰაერზე და ა. შ.

17. სკოლა-ინტერნატის მოსწავლეთა ესთეტიკური აღზრდა ხორციელდება სასწავლო-აღმზრდელობითი მუშაობის პროცესში, განსაკუთრებით მშობლიური ენისა და ლიტერატურის, ისტორიის, სიმღერისა და ხატვის გაკვეთილებზე, და აგრეთვე მოსწავლეთა კლასგარეშე კითხვით, ხელოვნების სხვადასხვა სახეობებში მრავალ-

ფეროვანი კლასგარეშე მუშაობით (მასობრივი და წრეობრივი), გუნდისა და ორკესტრის (სიმებიანი და სასული) საშუალებით.

18. სკოლა-ინტერნატში განსაკუთრებული ყურადღება ექცევა მოსწავლეთა ინდივიდუალური ნიჭისა და უნარის განვითარებას, როგორც სასწავლო მუშაობის, ისე სხვადასხვაგვარი კლასგარეშე მუშაობის პროცესში.

19. სკოლა-ინტერნატის დირექტორი ადგენს შინაგანაწესს აღსაზრდელთათვის და დღის რეჟიმს, რომელიც უზრუნველყოფს მოსწავლეთა სწავლის, შრომისა და დასვენების სწორ შეხამებას.

20. სკოლა-ინტერნატში გამოიყენება მოსწავლეთა წახალისებისა და აუცილებელ შემთხვევებში დასჯის ზომები, რომლებიც დადგენილია საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს ზოგადსაგანმანათლებლო სკოლებისათვის.

21. მეცადინეობა სკოლა-ინტერნატში იწყება და მთავრდება ზოგადსაგანმანათლებლო სკოლებისათვის დადგენილ ვადებში.

22. საზაფხულო არდადეგები წესდება საერთო წესით; საზაფხულო არდადეგების დროს სკოლა-ინტერნატის ყველა აღსაზრდელისათვის 4 კვირის განმავლობაში ეწყობა დასვენება სპეციალურ ბანაკებში, ხოლო არდადეგების დანარჩენ დროს იმ მოსწავლეთათვის, რომელთაც არა ჰყავთ მშობლები ან რომელთაც არდადეგების დროს არ შეუძლიათ მშობლებთან წასვლა, სკოლა-ინტერნატი აწყობს დასვენებას პიონერულ, კომკავშირულ-ახალგაზრდულ, ტურისტულ და სხვა ბანაკებში.

23. სკოლა-ინტერნატის კურსდამთავრებულებს ეძლევათ საშუალო სკოლის ატესტატი. სკოლა-ინტერნატის კურსდამთავრებულებს, რომელთაც სურთ განაგრძონ სწავლა უმაღლეს ან საშუალო სპეციალურ სასწავლებლებში, ღებულობენ საერთო წესით.

24. სკოლა-ინტერნატის ყველა აღსაზრდელი შეადგენს ერთიან კოლექტივს, რომელიც აქტიურ მონაწილეობას ღებულობს სკოლა-ინტერნატის მთელ ცხოვრებაში.

საზოგადოებრივ-სასარგებლო, ფიზკულტურული, კულტურულ-მასობრივი და წრეობრივი მუშაობის სხვადასხვა სახეობებში კოლექტივის მონაწილეობა ემყარება მოსწავლეთა ინიციატივის, თვითშემოქმედებისა და სოციალისტური შეჯიბრების მეთოდის ფართოდ გამოყენებას.

სკოლა-ინტერნატში კოლექტივები იქმნება კლასების პრინციპის დაცვით და აგრეთვე ინტერნატის ოთახში ერთად ცხოვრების, წრეობრივი და მასობრივი მუშაობის, სპორტში მონაწილეობისა და სხვა პრინციპებით.

25. სკოლა-ინტერნატის აღსაზრდელთა კოლექტივში წამყვან როლს ახორციელებენ კომკავშირული და პიონერული ორგანიზაციები.

სკოლა-ინტერნატის კომკავშირული ორგანიზაცია იქმნება და მუშაობს საკავშირო ახალგაზრდათა ლენინური კომუნისტური კავშირის წესდების საფუძველზე.

სკოლა-ინტერნატში იქმნება წითელი ჯვრის, „დოსააფის“ და სხვადასხვა ნებაყოფლობითი ორგანიზაციები.

26. სკოლა-ინტერნატის მუშაკთა შტატები და ხელფასების განაკვეთები წესდება სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს მიერ 1955 წლის 15 სექტემბერს დამტკიცებული ტიპობრივი შტატების შესაბამისად.

27. სკოლა-ინტერნატის დირექტორი ინიშნება საუკეთესო პედაგოგთაგან, რომელსაც გააჩნია ორგანიზატორული უნარი, უმაღლესი პედაგოგიური განათლება და ხელმძღვანელი პედაგოგიური მუშაობის სტაჟი არანაკლებ 5 წლისა.

დირექტორი პასუხს აგებს სასწავლო-აღმზრდელობითი მუშაობის, მოსწავლეთა აღზრდისა და მათი პრაქტიკული საქმიანობისათვის მომზადების სწორად დაყენებაზე, აღსაზრდელთა სიცოცხლესა და ჯანმრთელობაზე და სკოლა-ინტერნატის სამეურნეო მდგომარეობაზე.

დირექტორი, ემყარება რა სკოლის საზოგადოებრივ ორგანიზაციებს, მზრუნველთა საბჭოსთან შეთანხმებით ახორციელებს სკოლა-ინტერნატის მთელი საქმიანობისადმი საერთო ხელმძღვანელობას ერთმმართველობის პრინციპის საფუძველზე. დირექტორის განკარგულებები სავალდებულოა სკოლა-ინტერნატის ყველა მუშაკისათვის.

28. დირექტორის მოადგილე სასწავლო-სააღმზრდელო მუშაობის დარგში ინიშნება იმ პირთაგან, რომელსაც აქვს უმაღლესი პედაგოგიური განათლება და პედაგოგიური მუშაობის გამოცდილება არანაკლებ 5 წლისა, რომელმაც თავი გამოიჩინა როგორც კარგმა ორგანიზატორმა და მეთოდისტმა.

დირექტორის მოადგილე სასწავლო-სააღმზრდელო მუშაობის დარგში ხელმძღვანელობს სკოლა-ინტერნატის სასწავლო-აღმზრდელობითსა და მეთოდურ მუშაობას; იგი ამ მუშაობის დაყენებაზე პასუხს აგებს სკოლა-ინტერნატის დირექტორის წინაშე.

29. სკოლა-ინტერნატის მასწავლებლები და აღმზრდელები

შეირჩევიან საუკეთესო მასწავლებელთაგან, რომლებიც კარგად არიან დაუფლებული თავის საგანსა და მისი სწავლების მეთოდებს, იციან ბავშვთა ფსიქოლოგია, მათი ასაკობრივი თავისებურებანი, შეუძლიათ ბავშვებისადმი სიყვარული და ყურადღება შეახამონ გონივრულ მომთხოვნელობასთან და უნარი აქვთ პირადი მაგალითით დადებითი გავლენა იქონიონ აღსაზრდელებზე.

30. სკოლა-ინტერნატის მასწავლებელს უნდა ჰქონდეს უმაღლესი პედაგოგიური განათლება.

მასწავლებელი პასუხს აგებს მოსწავლეთა სწავლებისა და აღზრდის ხარისხზე, იმ საგნების სასწავლო გეგმისა და პროგრამის შესრულებაზე, რომელთაც იგი ასწავლის და მასზე დაკისრებულ კლასგარეშე აღმზრდელობით მუშაობაზე.

31. უფროს აღმზრდელს უნდა ჰქონდეს უმაღლესი პედაგოგიური განათლება და პედაგოგიური მუშაობის სტაჟი არანაკლებ 5 წლისა. უფროსი აღმზრდელი პასუხს აგებს ინტერნატში აღმზრდელობითი მუშაობის ორგანიზაციაზე, დღის რეჟიმისა და შინაგანაწესის დაცვაზე, ბავშვთა სიცოცხლესა და ჯანმრთელობაზე. უფროსი აღმზრდელი განთავისუფლებულია ჯგუფში სააღმზრდელო მუშაობისაგან.

32. აღმზრდელს უნდა ჰქონდეს უმაღლესი პედაგოგიური განათლება.

აღმზრდელები შეირჩევიან იმ ანგარიშით, რომ თითოეულ მათგანს შეეძლოს უხელმძღვანელოს კლასგარეშე მუშაობის რომელიმე სახეობას.

აღმზრდელი აწყობს აღმზრდელობით მუშაობას ჯგუფში, მოსწავლეთა დამოუკიდებელ მუშაობას გაკვეთილების მოსამზადებლად, აღსაზრდელთა აქტიური მონაწილეობით ატარებს კლასგარეშე მუშაობის სხვადასხვა ღონისძიებას, პასუხს აგებს, რომ მოსწავლეებმა დაიცვან დადგენილი წესი და რეჟიმი, პასუხისმგებელია ბავშვთა სიცოცხლესა და ჯანმრთელობაზე და აღსაზრდელთა მოცემულ ჯგუფზე გაპიროვნებულ მატერიალურ ფასეულობათა და მოწყობილობათა დაცვაზე.

სკოლა-ინტერნატის აღმზრდელები თავისი უფლებრივი მდგომარეობით (ხელფასისა და შვებულების ხანგრძლიობის გარდა) გათანაბრებული არიან მასწავლებლებთან.

33. დირექტორის თანაშემწე სამეურნეო ნაწილში პასუხს აგებს სკოლა-ინტერნატის მეურნეობის მდგომარეობაზე, მოსწავლეთა კვების ორგანიზაციაზე, სკოლის ქონებისა და ინვენტარის მოვლა-პა-

ტრონობაზე, შენობათა და ნაგებობათა ნორმალურ ექსპლოატაციაზე, მათ სანიტარულ-ჰიგიენურ მდგომარეობაზე, ტრანსპორტის სწორად გამოყენებაზე.

ეროვნული ბიბლიოთეკა

34. სკოლა-ინტერნატის ექიმს ნიშნავს საქართველოს სსრ განათლების სამინისტრო. ექიმი პასუხს აგებს სკოლა-ინტერნატის აღსაზრდელთა და თანამშრომელთა სამედიცინო მომსახურებაზე, ბავშვთა ჯანმრთელობის მდგომარეობაზე და ახორციელებს სისტემატურ კონტროლს დღის რეჟიმის შესრულებაზე, ფიზიკურ კულტურასა და სპორტში მეცადინეობაზე, მოსწავლეთა დატვირთვაზე, კვების ხარისხზე და სკოლა-ინტერნატის სანიტარულ მდგომარეობაზე. ექიმი და სამედიცინო და ატარებენ აღსაზრდელთა და თანამშრომელთა სანიტარულ მომზადებას.

35. კაბინეტების გამგეებად სკოლა-ინტერნატის დირექტორის მიერ ინიშნებიან ყველაზე უფრო გამოცდილი, შესაბამისი სპეციალობის მქონე მასწავლებლები; კაბინეტის გამგეები პასუხს აგებენ კაბინეტების ინვენტარ-მოწყობილობის მოვლა-პატრონობასა და კაბინეტის მუშაობის სწორ ორგანიზაციაზე.

36. სკოლა-ინტერნატის პედაგოგიურ პერსონალს ნიშნავს საქართველოს სსრ განათლების სამინისტრო დირექტორისა და მზრუნველთა საბჭოს წარდგენით, მუშაკთა დანარჩენ კატეგორიებს—სკოლა-ინტერნატის დირექტორი.

37. სკოლა-ინტერნატთან იქმნება პედაგოგიური საბჭო.

პედაგოგიური საბჭოს შემადგენლობაში შედიან: სკოლა-ინტერნატის დირექტორი (თავმჯდომარე), სამეცნიერო-მეთოდური საბჭოს თავმჯდომარე და მოადგილე, დირექტორის მოადგილე სასწავლო-სააღმზრდელო მუშაობის დარგში, მასწავლებლები, უფროსი აღმზრდელი, აღმზრდელები, დირექტორის თანაშემწე სამეურნეო ნაწილში, ბიბლიოთეკარი, ექიმი, მშობელთა კომიტეტის თავმჯდომარე.

პედაგოგიური საბჭო მუშაობს საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს მიერ დამტკიცებული დებულებით პედაგოგიური საბჭოს შესახებ.

პედაგოგიური საბჭოს გადაწყვეტილება ძალაში შედის სკოლა-ინტერნატის დირექტორის მიერ მისი დამტკიცების შემდეგ.

38. სკოლა-ინტერნატის დაფინანსება სწარმოებს საქართველოს სსრ სახელმწიფო ბიუჯეტით გათვალისწინებული ხარჯთაღრიცხვის შესაბამისად.

სკოლა-ინტერნატს შეუძლია ჰქონდეს სპეციალური სახსრები,

რომლებსაც ხარჯავს სკოლა-ინტერნატის დირექტორი განათლების სამინისტროს მიერ დამტკიცებული და საფინანსო ორგანოების მიერ რეგისტრირებული ხარჯთაღრიცხვის შესაბამისად,

ეროვნული ბიბლიოთეკა

39. სკოლა-ინტერნატი სარგებლობს იურიდიული პირის უფლებით. მას აქვს ბეჭედი საქართველოს სსრ ღერბის გამოსახულებით და შტამპი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

## საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს 1965 წლის 9 მარტის ბრძანება № 234

### რესპუბლიკის ზოგიერთი რაიონის დაწყებითი სკოლების მუშაობის შემოწმების შედეგების შესახებ

რესპუბლიკის ზოგიერთი რაიონის დაწყებითი სკოლის მუშაობის შემოწმების შედეგებმა გვიჩვენა, რომ დაწყებითი სკოლების მუშაობაში შეინიშნება არსებითი ხასიათის ნაკლოვანებანი, როგორც ცალკეული სასწავლო დისციპლინების სწავლების დარგში, ასევე სკოლების მატერიალური ბაზის განმტკიცების საქმეში.

არადამაკმაყოფილებლად ხორციელდება აგრეთვე ხელმძღვანელობა და კონტროლი დაწყებითი სკოლების მიმართ იმ რვაწლიანი და საშუალო სკოლების დირექტორების მიერ, რომლებზედაც მიმაგრებული არიან ეს სკოლები.

ვბრძანებ

1. სამხრეთ ოსეთის ა/ო, მცხეთის, გორის, ხაშურის, ჩხოროწყუს, სამტრედიის, ვანის, ლაგოდეხის, წითელწყაროსა და ახმეტის რაიონების განათლების განყოფილებებმა (გ. ძაგოევი, ა. ლაშხაური, ა. ჩხეიძე, კ. ნადირაძე, ვ. როდონაია, ვ. თევზაძე, მ. ხარძეიშვილი, ა. ზეგიაშვილი, მ. ლაპიაშვილი, ა. შველაშვილი):

ა) მტკიცედ იხელმძღვანელონ ბრძანებათა და ინსტრუქციათა 1961 წლის № 7 კრებულში გამოქვეყნებულ № 488 ბრძანებით „ზოგადსაგანმანათლებლო სკოლების დაწყებითი კლასების მუშაობაში არსებული ნაკლოვანებების აღმოფხვრის ღონისძიებათა შესახებ“ და მითითებებით დაწყებით კლასებში ძირითადი სასწავლო დისციპლინების სწავლების შესახებ;

ბ) სკოლების სამმართველოს მიერ წარმოდგენილი მოხსენებითი ბარათი რესპუბლიკის ზოგიერთი რაიონის დაწყებითი სკოლების მუშაობის შემოწმების შედეგების შესახებ განიხილონ სახალხო განათლების საბჭოს სხდომებზე, დასახონ და განახორციელონ კონკრეტული ღონისძიებანი მასში აღნიშნულ ნაკლოვანებათა აღმოსაფხვრელად (მოხსენებითი ბარათი თან ერთვის);

გ) მიმდინარე სასწავლო წლის ბოლომდე შეისწავლონ მოხსე-

ნებით ბარათში აღნიშნული სუსტად მომუშავე სკოლებისა და მასწავლებლების მუშაობა და გაატარონ მათ მიმართ საჭირო ღონისძიებანი;

დ) სპეციალური განათლების არმქონე, სუსტად მომუშავე მასწავლებლები, არსებული წესის დაცვით, შეცვალონ შესაფერისი, მაღალკვალიფიციური კადრებით;

ე) დააყენონ საკითხი პარტიის რაიონული კომიტეტებისა და რაისაბჭოს აღმასკომების წინაშე, რათა სასოფლო საბჭოების აღმასკომებს, რომელთა ბიუჯეტზედაც იმყოფება დამოუკიდებელი დაწყებითი სკოლები, მიეცეთ მტკიცე დავალება მუდმივად იზრუნონ ამ სკოლების მატერიალური ბაზის განმტკიცებისათვის;

ფართოდ ჩააბან კოლმეურნეობები, საბჭოთა მეურნეობები და სხვა ორგანიზაციები დაწყებითი სკოლებისათვის შენობების აგებისა და არსებულ სასკოლო შენობებისათვის საკლასო ოთახების მიშენების საქმეში;

ვ) დაწყებითი კლასების თვალსაჩინო-დიდაქტიკური მასალებით უზრუნველყოფის მიზნით განუხრელად იხელმძღვანელონ საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს 1964 წლის 15 ივნისის № 638 ბრძანებით;

ზ) რეგულარულად შეისწავლონ დამოუკიდებელი დაწყებითი სკოლების მუშაობა, გახადონ ის სახალხო განათლების საბჭოს და ადგილობრივი ხელმძღვანელი ორგანოების მსჯელობის საგნად და დასახონ კონკრეტული ღონისძიებანი ნაკლოვანებათა აღმოსაფხვრელად;

თ) იმ დაწყებით სკოლებში, სადაც მასწავლებლებს არ გააჩნიათ სათანადო მომზადება რუსული ენის, ფიზიკური კულტურისა და სიმღერის სწავლებისათვის, არსებული წესის დაცვით, მოიწვიონ ამ საგნების მასწავლებლებად სათანადო განათლების ცენზისა და საგნის მცოდნე მასწავლებლები;

ი) მოაწყონ დაწყებითი კლასების მოწინავე მასწავლებელთა გამოცდილების ფართო განზოგადება;

კ) უზრუნველყონ საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს საინსტრუქციო და მეთოდური ხასიათის დოკუმენტებისა და კერძოდ, ბრძანებათა და ინსტრუქციათა კრებულის ყოველი ნომრის თითოეულ დაწყებით სკოლამდე დაყვანა;

ლ) მოხსენებით ბარათში აღნიშნულ ნაკლოვანებათა აღმოსაფხვრელად გატარებული ღონისძიებების შესახებ წარმოუდგინონ ანგარიში განათლების სამინისტროს მიმდინარე წლის 1 ივლისისათვის.

2. საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს მომარაგებისა და დამხმარე საწარმოთა სამმართველომ (ამხ. ს. არველაძე):

ა) უზრუნველყოს დაწყებითი კლასებისათვის სათანადო დახაზულობის (საგნებისა და კლასების მიხედვით) დაფების გამოშვება;

ბ) იზრუნოს დაწყებითი სკოლების მოსწავლეთა ასაკის შესაფერისი მერხებითა და სხვა დგამ-ავეჯით მომარაგებისათვის;

გ) გადამჭრელი ზომები მიიღოს „დაწყებითი კლასების თვალსაჩინო იარაღ-ხელსაწყოებითა და დიდაქტიკური მასალით უზრუნველყოფის შესახებ“ განათლების მინისტრის 1964 წლის 15 ივნისის № 638 ბრძანების შესრულებისათვის.

3. საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს სკოლების სამმართველომ (ამხ. დ. ჯავახია) თვალყური ადევნოს ამ ბრძანების შესრულებას.

**საფუძველი:** საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს კოლეგიის 1965 წლის 5 მარტის დადგენილება.

საქართველოს სსრ განათლების
მინისტრი თ. **ლაშქარაშვილი**

---

ეროვნული ბიბლიოთეკა

საქართველოს სსრ განათლების მინისტრს
ამხ. თ. ვ. ლაშქარაშვილს

## მოხსენებითი ბარათი

### რესპუბლიკის ზოგიერთი რაიონის დაწყებითი სკოლების მუშაობის შემოწმების შედეგების შ ე ს ა ხ ე ბ

თქვენი დავალებით მიმდინარე წლის იანვარში შემოწმდა რესპუბლიკის ზოგიერთი რაიონის დაწყებითი სკოლების სასწავლო-აღმზრდელობითი მუშაობა. სკოლების შემოწმებაში მონაწილეობდნენ: საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს სასკოლო ინსპექტორები: ე. აგლაძე, ნ. ახვლედიანი, შ. ლომიძე, ი. წოწონავა, ნ. ღამბაშიძე, თ. მელქაძე, ვ. პალტარაკოვა, მასწავლებელთა დახელოვნების ინსტიტუტის დაწყებითი კლასების მეთოდკაბინეტის გამგე ფ. თოფურიძე, ამავე კაბინეტის მეთოდისტი ე. სურგულაძე და მასწავლებელთა დახელოვნების ინსტიტუტის ცხინვალის ფილიალის დაწყებითი კლასების მეთოდკაბინეტის გამგე ე. კაჩმაზოვი. შემოწმებაში მონაწილეობა მიიღო აგრეთვე განათლების ადგილობრივი ორგანოების ზოგიერთმა მუშაკმა.

შემოწმებულ იქნა მცხეთის რაიონის—ციხისძირის, პატარა ქანდის, წყალსადენის, ვაზიანის, მუხათგვერდის; გორის რაიონის—თორტიზის, ქვემო ახალსოფლის, მარანას, ხიდისთავის; ხაშურის რაიონის—შინდარის, ჩუმათელეთის, ბელლეთის, კაკალათხევის; ჩხოროწყუს რაიონის—ლესიჭინეს, მეორე ლესიჭინეს, რზენის, ზემო ზუმის, ნაშელუს; სამტრედიის რაიონის ნინოშვილის სახელობის კულაშის. ნინუაკუთხის, ნაფალაურის; ვანის რაიონის ქვედა ციხესულორის; ლაგოდეხის რაიონის ლაგოდეხის, ყარსუბნის, საქობოს, ჭაბუკიანის, ნაენდროვლის; წითელწყაროს რაიონის—ზემო მაჩხაანის, ზემო ქედის, წითელწყაროს რუსული; ახმეტის რაიონის—ზემოხოდაშნის, ჟალურის, საზეროს, ახშნისველების და სამხრეთ ოსეთის ხელჩვის, სათიხარის, ფრისის, მუგუთის და დიდმუხის დაწყებითი სკოლები.

შემოწმებით გამოირკვა, რომ ცალკეული დაწყებითი სკოლები მოთავსებული არიან შესაფერის შენობაში და აქვთ საკმაო ფართობი ნორმალური მუშაობისათვის. ასე, მაგალითად, წითელწყაროს რაიონის ზემომაჩხაანის დამოუკიდებელ დაწყებით სკოლას აქვს საკუთარი შენობა 4 საკლასო ოთახით, სამასწავლებლოთი და საკუჭნაოთი. აქვს შემოკავებული ეზო ნარგავებით და საცდელი მიწის ნაკვეთი. ასევე დამაკმაყოფილებელ პირობებში მუშაობს გორის რაიონის თორტიზის დაწყებითი სკოლა. მაგრამ სკოლების უმრავლესობას მატერიალური ბაზის მხრივ მძიმე პირობებში უხდება მუშაობა. ბევრ მათგანს არ გააჩნია საკუთარი შენობა და ნაქირავებ ოთახებშია მოთავსებული, ხოლო ზოგს იმდენად მცირე ფართობი უკავია, რომ ორი ფინანსიური კლასის პირობებშიაც კი ორ ცვლაში უხდებათ მეცადინეობა.

მაგალითად, ხაშურის რაიონის შინდარის დაწყებითი სკოლა ნაქირავებ ორ ოთახიან შენობაშია მოთავსებული. ამავე რაიონის ჩუმათელეთის, ბელლეთის და კაკალათხევის დაწყებით სკოლებსაც თითოეულს პატარა ორ ოთახიანი შენობები უჭირავთ. საკლასო ოთახების ფართობი იმდენად მცირეა, რომ მათში ძლივს თავსდება 8—10 მერხი, რის გამო ზოგ შემთხვევაში ერთ მერხზე სამი მოსწავლე ზის.

ახმეტის რაიონის საბეროს დაწყებითი სკოლა ორი ფინანსიური კლასით მოთავსებულია ერთ ოთახიან ბინაში, რომლის ფართობი არ აღემატება 20 კვადრატულ მეტრს და გარდა იმისა, რომ სკოლას ორ ცვლად უხდება მუშაობა, მასწავლებლებს არ გააჩნიათ ერთი პატარა კუთხეც კი სამუშაოდ ან დასასვენებლად.

ახმეტის რაიონის ზემოხოდაშნის სასოფლო საბჭოს დაწყებითი სკოლის შენობას, რომელიც 3 საკლასო ოთახს შეიცავს, მიმდინარე წელს რემონტი არ ჩაუტარა, მაშინ, როდესაც საკლასო ოთახების ფანჯრებში მინები ჩატეხილია, იატაკი უვარგისია, კარები არ იხურება, ღუმელები წყობილებიდანაა გამოსული.

გორის რაიონის ქვემო ახალსოფლის დაწყებით სკოლას ორი იმდენად ბნელი საკლასო ოთახი აქვს (თითო ვიწრო სარკმლით), რომ უკანა მერხებზე თითქმის შეუძლებელია რაიმეს წაკითხვა. ამ სკოლას ორ ცვლად უხდება მუშაობა, მაშინ როდესაც ამავე შენობის ერთი ოთახი ფოსტას აქვს დაკავებული.

ლაგოდეხის რაიონის ჭაბუკიანის დაწყებით სკოლას თუმცა ექვსოთახიანი საკუთარი ხის შენობა აქვს, მაგრამ ეს შენობა ავარიულ მდგომარეობაშია.

შეუფერებელ, ვიწრო ბინებსა და არადამაკმაყოფილებელ პი-

რობებში უხდებათ მუშაობა აგრეთვე ლაგოდეხის რაიონის საქობოს, ნაენდროვლის, მცხეთის რაიონის მუხათგვერდის, ვანის რაიონის ქვედაციხესულორის, გორის რაიონის მარანას და ახმეტის რაიონის ჟალურის დაწყებით სკოლებს.

შემოწმებული სკოლების ნაწილს ეზოები შემოუკავებელი, მოუვლელი და მოუწყობელი აქვთ და ნაკლებად ზრუნავენ მის გამწვანებასა და გამშვენიერებაზე. მაგალითად, ეზოები შემოუკავებელია სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის ხუთივე შემოწმებულ (ხელჩვის, სათიხარის, ფრისის, მუგუთის, დიდმუხის) დაწყებით სკოლაში. შემოუღობავია და კეთილმოწყობას საჭიროებს აგრეთვე მცხეთის რაიონის პატარა ქანდის, ციხისძირის, მუხათგვერდის და ვაზიანის, ლაგოდეხის რაიონის საქობოს, ვანის რაიონის ქვედაციხესულორის, გორის რაიონის ხიდისთავის დაწყებითი სკოლების ეზოები. ახმეტის რაიონის საბეროს დაწყებით სკოლაში (სკოლის გამგე მასწავლებელი ნინო ნიკოლოზის ასული შაშიაშვილი) არა თუ უზრუნვიათ ეზოს შემოკავებასა, მოვლასა და გამწვანებაზე (ეზოში არც ერთი ძირი ნარგავი არ მოიპოვება), არამედ მათ საპირფარეშოს დადგმაც კი არ ჩაუთვლიათ საჭიროდ.

შემოწმებული სკოლების დიდი ნაწილი ღარიბია სასკოლო დგამ-ავეჯით, თვალსაჩინო ხელსაწყო-იარაღებითა და დიდაქტიკური მასალებით. გარდა იმისა, რომ ზოგიერთ სკოლას არასაკმაო რაოდენობით მოეპოვება მერხები (მაგალითად, მერხები აკლიათ მცხეთის რაიონის წყალსადენის, წითელწყაროს რაიონის ზემოქედის, გორის რაიონის ხიდისთავის და ზოგიერთ სხვა დაწყებით სკოლას), რაც მთავარია, არსებული მერხები, ხშირად არ პასუხობს მოსწავლეთა ასაკობრივ მოთხოვნილებას. მაგალითად, ასაკისათვის შეუფერებელ, მოძველებულ და ნაწილობრივ დამტვრეულ მერხებზე სხედან გორის რაიონის ხიდისთავის დაწყებითი სკოლის (გამგე თამარ გიორგის ასული ჩიტუაშვილი) პირველი კლასის მოსწავლეები. ასეთ შეუფერებელ მერხებზე ჯდომა, გარდა იმისა, რომ ზიანს აყენებს მოზარდთა ჯანმრთელობას, შეუძლებელსაც კი ხდის მუშაობაში დადებითი შედეგების მიღწევას მოსწავლეებთან, რომლებიც ახლად ეუფლებიან წერის ჩვევებს.

ასაკისათვის შეუფერებელი, მოძველებული მერხები აქვთ აგრეთვე ხაშურის რაიონის ჩუმათელეთის, ბელლეთის, კაკალათხევის შინდარის, გორის რაიონის ქვემო ახალსოფლის და სხვა რაიონების ბევრ დაწყებით სკოლას.

საჭირო დგამ-ავეჯით (სკამი, მაგიდა, კარადა), უზრუნველყო-

ფილი არ არის ლაგოდეხის რაიონის ჭაბუკიანის და ყარსუბნის დაწყებითი სკოლები.

სკოლების დიდ უმრავლესობას არ გააჩნია კლასებისა და საგნების მოთხოვნილებათა მიხედვით საჭირო დახაზულობის დაფები, რის გამოც მასწავლებლები იძულებული არიან ცარცით დახაზონ დაფები გაკვეთილების მსვლელობისას. გარდა იმისა, რომ ცარცით გავლებულ ხაზებზე ასოები და ციფრები არ მოჩანს მკაფიოდ, ამ პროცესს მეტად ბევრი დრო მიაქვს, რაც განსაკუთრებით იგრძნობა ორ და მეტ კლასთან მუშაობის პირობებში.

შემოწმებული სკოლების ერთ ნაწილს აქვს აუცილებელი თვალსაჩინო სასწავლო ხელსაწყო-იარაღები და დიდაქტიკური მასალები, როგორიცაა მაგალითად, მოძრავი ანბანი, შვედური საანგარიშე, არითმეტიკული ყუთი, გეოგრაფიული რუკები, პლაკატები და სხვ. ხელსაწყო-იარაღებითა და თვალსაჩინო მასალებით ძირითადად უზრუნველყოფილი არიან, მაგალითად, წითელწყაროს რაიონის ზემომაჩხაანის, გორის რაიონის თორტიზისა და ქვემო ახალსოფლის, ლაგოდეხის და სხვა დაწყებითი სკოლები, მაგრამ არიან ისეთი, დაწყებითი სკოლებიც, რომლებსაც საჭირო ხელსაწყო-იარაღები და თვალსაჩინოებანი მცირე რაოდენობით ან სრულიად არ გააჩნიათ. მაგალითად, ახმეტის რაიონის საბეროს დაწყებით სკოლას არავითარი თვალსაჩინო ხელსაწყო-იარაღები არ მოეპოვება—არა აქვს გეოგრაფიული რუკები, გლობუსები, შვედური საანგარიშე, არითმეტიკული ყუთი, კომპასი და სხვა. სკოლის გამგის ნ. შაშიაშვილის განცხადებით, საჭირო შემთხვევაში, ამ ნივთებით ისინი სარგებლობენ ახმეტის პირველი საშუალო სკოლიდან, რომელზეც მიმაგრებულია ეს სკოლა. ხელსაწყო-იარაღები და თვალსაჩინოება არ მოეპოვებათ აგრეთვე ახმეტის რაიონის ჟალურის, ლაგოდეხის რაიონის საქობოს დაწყებით სკოლებს.

შემოწმებული სკოლები მთლიანად უზრუნველყოფილნი არიან სასწავლო სახელმძღვანელოებით (ძირითადად ახალი გამოცემები) და სასწავლო ნივთებით (რვეულები და სხვ.), მაგრამ ხშირია შემთხვევები, როცა მასწავლებელი არ ნერგავს მოსწავლეთა შორის სახელმძღვანელოების და საერთოდ წიგნისადმი ფაქიზი, ფრთხილი მოპყრობის ჩვევებს, რის გამოც სკოლებში მოსწავლეთა ნაწილს დაფლეთილი და დაჯღაბნილი სახელმძღვანელოები აქვს.

დაწყებითი სკოლების ბიბლიოთეკები უმთავრეს წილად ღარიბია წიგნადი ფონდით. ბიბლიოთეკისათვის ცალკე ოთახის გამოყოფის საშუალება თითქმის არც ერთ დაწყებით სკოლას არ გააჩნია, წიგნები, უკეთეს შემთხვევაში, ინახება კარადაში, რომე-

ლიც სამასწავლებლოში ან საკლასო ოთახში დგას. მაგრამ ზოგიერთ დაწყებით სკოლაში, მიუხედავად ასეთი პირობებისა, მაინც ახერხებენ შემოიკრიბონ მკითხველთა აქტივი, შეაყვარონ მათ წიგნი და აწარმოონ ჩატარებული მუშაობის აღრიცხვა. ასეთი სკოლებია, მაგალითად, წითელწყაროს რაიონის ზემო მაჩხაანის, ახმეტის რაიონის ჟალურის, ახშნისველების, გორის რაიონის ახალსოფლის დაწყებითი სკოლები. მაგრამ ხშირად დამოუკიდებელი დაწყებითი სკოლების ისედაც ღარიბი ბიბლიოთეკები გამოუყენებელია, არ სრულდება წიგნადი ფონდის აღრიცხვის დადგენილი წესი, წესრიგში არ არის ბიბლიოთეკის საინვენტარო წიგნები, არ არის შედგენილი კატალოგები, არ გააჩნიათ მკითხველთა ბარათები, არ მოეპოვებათ კლასგარეშე საკითხავი ლიტერატურის სარეკომენდაციო სიები. სკოლები არადამაკმაყოფილებლად ფინანსდება წიგნადი ფონდის შესავსები თანხებით. მაგალითისათვის შეიძლება დავასახელოთ მცხეთის რაიონის შემოწმებული სკოლები, რომლებსაც 1964—1965 სასწავლო წლის მანძილზე არ შეუძენიათ არცერთი წიგნი. მიმდინარე სასწავლო წელს არც ერთი წიგნი არ არის შეძენილი აგრეთვე ლაგოდეხის რაიონის ყარსუბნისა და ნაენდროვლის დაწყებითი სკოლების ბიბლიოთეკებში. ამ უკანასკნელის ბიბლიოთეკა მხოლოდ 80 ცალი წიგნისაგან შესდგება და ისინიც სრულიად გამოუყენებელია. ასეთივე მდგომარეობაა ხაშურის რაიონის შინდარისა და ჩუმათელეთის, წითელწყაროს რაიონის ზემო ქედის დაწყებით სკოლებში. ზემო ქედის დაწყებითი სკოლის ბიბლიოთეკა ერთ პატარა ოთახშია მოთავსებული, სადაც შემოწმების დღისათვის წიგნებთან ერთად შეშა იყო შენახული. წიგნები კარადაში უსისტემოდაა შეყრილი, დაუმუშავებელია და მის გამოყენებაზე არავინ ფიქრობს. ამ სკოლას 1963 წლიდან არც ერთი წიგნით არ შეუვსია ბიბლიოთეკა.

დაწყებითი სკოლების ბიბლიოთეკებში არადამაკმაყოფილებლადაა დაყენებული საბავშვო და პედაგოგიური პერიოდული გამოცემების გამოწერის საქმე. ამ დანიშნულებისათვის დაწყებითი სკოლები არ ფინანსდება. თუმცა უმთავრეს შემთხვევაში თვით მასწავლებლებს და ზოგჯერ მოსწავლეებსაც, გამოწერილი აქვთ საკუთარი თანხებით მათთვის აუცილებელი საბავშვო და პედაგოგიური ხასიათის ჟურნალ-გაზეთები.

პერიოდული ლიტერატურის გამოწერის საქმე ძალზე ცუდად არის მცხეთის რაიონის მუხათგვერდის დაწყებით სკოლაში, იმის გამო, რომ აქ არ არის ფოსტის განყოფილება, ხოლო რაიონის საფოსტო განყოფილება სოფლიდან ტერიტორიულად დაცილებულია.

უნდა აღინიშნოს, რომ საერთოდ დამოუკიდებელი დაწყებითი სკოლების მატერიალური ბაზის სიღარიბე ძირითადად გამოწვეულია იმით, რომ მათი დაფინანსება მინდობილი აქვთ სოფლსაბჭოებს, რომლებიც ხშირ შემთხვევაში არ იჩენენ დაინტერესებას სკოლებისადმი დახმარების აღმოჩენის საქმეში, არ გამოუყოფენ მათ საჭირო თანხებს, არ ზრუნავენ მათი მატერიალური ბაზის განმტკიცებისათვის. ამის დამადასტურებელია, თუნდაც შემდეგი ფაქტი: ახმეტის სადაბო საბჭო არათუ ზრუნავს საბეროს დაწყებითი სკოლის კეთილმოწყობისათვის, არამედ იგი საჭიროდაც არ თვლის გააცნოს სკოლის გამგეს დაწყებითი სკოლისათვის გამოყოფილი ბიუჯეტი. საბეროს სოფლსაბჭოს 1964 წლის განმავლობაში სკოლის საჭიროებისათვის არ გაუღია არავითარი თანხა.

შემოწმებული დაწყებითი სკოლების უმრავლესობას ძირითადად წესრიგში აქვს სასკოლო დოკუმენტაცია. მათ შედგენილი აქვთ სკოლის წლიური და პედაგოგიური საბჭოს სამუშაო გეგმები, რომლებშიაც კარგად არის ასახული სასწავლო-სააღმზრდელო მუშაობის ძირითადი ამოცანები; მთელ რიგ სკოლებში დამაკმაყოფილებლად არის შედგენილი სააღმზრდელო მუშაობის ნახევარწლიური გეგმებიც. მაგრამ ცალკეულ შემთხვევებში გეგმებში გვხვდება ზოგადი ხასიათის მუხლები, რომლებიც არავის არაფერს აკისრებს.

იმ დაწყებით სკოლებში, სადაც სამი და მეტი მასწავლებელია, გაფორმებული აქვთ პედაგოგიური საბჭოს ოქმები. მაგრამ ხშირ შემთხვევაში ეს ოქმები იწერება დაუნომრავ, ზონარგაუყრელ დავთრებში ან უბრალო რვეულებში, რომლებიც დამოწმებული არ არის განათლების განყოფილების მიერ.

ყველა შემოწმებული რაიონის დაწყებით სკოლას წესრიგში აქვს მოსწავლეთა პირადი საქმეები; იშვიათ გამონაკლის შემთხვევაში ზოგიერთი სკოლის მოსწავლეთა პირად საქმეებში აკლიათ ცნობები ჯანმრთელობის შესახებ.

საკლასო ჟურნალებისა და მოსწავლეთა მოძრაობის წიგნების შემოწმებით დადასტურდა, რომ სკოლებში სათანადო მუშაობაა ჩატარებული საყოველთაო-სავალდებულო სწავლების კანონის განსახორციელებლად: სკოლებს აღრიცხული ჰყავთ სასკოლო ასაკის ბავშვები მათ სამოქმედო უბნებში და ისინი ჩაბმული არიან სწავლებაში. არასაპატიო მიზეზით სკოლიდან მოსწავლეთა განთესვის ფაქტები არსად არ ყოფილა შენიშნული, გარდა ერთი გამონაკლისისა: მცხეთის რაიონის ციხისძირის დაწყებითი სკოლის III კლასის ერთი მოსწავლე არასაპატიო მიზეზითაა გასული სკოლიდან.

არის ერთი ასეთი ფაქტიც: სამხრეთ ოსეთის ავტონომიური

ოლქის ზნაურის რაიონის სათიხარის დაწყებითი სკოლის III კლასის ერთი მოსწავლე გაგზავნილია შრომა-გასწორების კოლონიაში.

ეროვნული ბიბლიოთეკა

დაწყებითი სკოლები ძირითადად უზრუნველყოფილი არიან სათანადო ცენზის მქონე მასწავლებლებით. დიდ უმრავლესობას დამთავრებული აქვს პედაგოგიური სასწავლებლები და ინსტიტუტები, ან დაუსწრებლად სწავლობენ უმაღლეს პედაგოგიურ სასწავლებლებში.

შემოწმებული სკოლებიდან დამაკმაყოფილებლად არის დაყენებული სასწავლო-აღმზრდელობითი მუშაობა წითელწყაროს რაიონის ზემომაჩხაანის (გამგე რ. ნატროშვილი), გორის რაიონის თორტიზის (გამგე ე. სირბილაძე), ხაშურის რაიონის შინდარის (გამგე აბრამიშვილი), ჩხოროწყუს რაიონის რზენის (გამგე კ. პაპავა), ქვემო ზუმის (გამგე ბ. ვეკუა) და ზოგიერთ სხვა დაწყებით სკოლაში.

კარგი ცოდნა გამოამჟღავნეს ქართულ ენაში ხაშურის რაიონის შინდარის I კლასის მოსწავლეებმა (მასწავლებელი მ. დეკანოსიძე). მოსწავლეებში გამომუშავებულია სწორი და შეგნებული კითხვის ჩვევები. ისინი ახერხებენ დასმულ კითხვებზე სრული და ზუსტი პასუხის გაცემას. მარტივსიუჟეტიანი პატარა მოთხრობის შინაარსის თავისი სიტყვებით გადმოცემას, ლექსის ზეპირად, გამომეტყველებით წაკითხვას.

ჩხოროწყუს რაიონის რზენის დაწყებითი სკოლის გამგე კ. პაპავა, რომელიც I—III კლასებს ასწავლის, კარგ შედეგებს აღწევს ქართული ენის სწავლების საქმეში. იგი განსაკუთრებულ ყურადღებას აქცევს მოსწავლეთა შორის კითხვის ტექნიკის გაუმჯობესებას, სწრაფი, სწორი, აზრიანი, გამომეტყველებითი კითხვის ჩვევების დანერგვას, სალექსიკონო მუშაობას. გრამატიკის სწავლებას უკავშირებს ზეპირი და წერითი მეტყველების განვითარების ამოცანებს, მართლწერის პრაქტიკულ საკითხებს. ლიტერატურულ ტექსტებს მოხერხებულად იყენებს მოსწავლეთა შორის აღმზრდელობითი მუშაობის გასაშლელად. იგი იცავს წერითი მუშაობის ნორმებსა და სახეებს, აღწევს გამოუმუშაოს მოსწავლეებს ლამაზი, მტკიცე ხელი, ასოთა გადაბმის წესების დაცვით.

კარგად მუშაობს აგრეთვე ხაშურის რაიონის ჩუმათელეთის დ/ს მასწავლებელი ნ. ნოზაძე (IV კლ.). მოსწავლეებს სუფთად და წიგნიერად ჰქონდათ შესრულებული წერითი საშინაო დავალება. გამოამჟღავნეს ხ. ბერულავას ლექსის—„გალაქტიონ ტაბიძე“ გამოთქმით ზეპირად გადმოცემისა და მისი იდეური და მხატვრული ანალიზის უნარი. მასწავლებელს კარგად ჰქონდა მომზადებული ახა-

ლი მასალა. გამომეტყველებით კითხვით, ემოციურად მიიტანა ნაწარმოების შინაარსი მოსწავლეებამდე და მისცა კითხვის კარგი ნიმუში; კარგად ამუშავა მოსწავლეები უცნობი სიტყვებისა და ცალკეული გამოთქმების გაცნობიერებისათვის. შესასწავლი მასალა მასწავლებელმა გამოიყენა, როგორც მეტყველების განვითარების, ისე შინაარსობრივი და იდეური ანალიზის ჩვევის გამომუშავებისათვის.

ასევე მონდომებით მუშაობენ და კარგ შედეგებს აღწევენ დედაენის სწავლების საქმეში ხაშურის რაიონის შინდარის IV კლ. მასწავლებელი ლ. გელაშვილი, ამავე რაიონის ჩუმათელეთის II კლ. მასწავლებელი წაქაძე, გორის რაიონის თორტიზის IV კლასის მასწავლებელი ე. სირბილაძე, ახმეტის რაიონის ჟალურის დაწყებითი სკოლის IV კლასის მასწავლებელი ე. პაპუნაშვილი, მცხეთის რაიონის წყალსადენის დაწყებითი სკოლის მასწავლებელი მ. შავგულიძე, ამავე რაიონის მუხათგვერდის დაწყებითი სკოლის მასწავლებელი მუხათგვერდელი, ვაზიანის დაწყებითი სკოლის მასწავლებელი ქ. ეკალაძე, სამტრედიის რაიონის კულაშის დ/ს მასწავლებელი ლ. მიქელაძე და სხვები.

გარკვეული მიღწევებია მოპოვებული ზოგიერთ სკოლაში რუსული ენის სწავლების დარგში. მაგალითად, ლაგოდეხის დაწყებითი სკოლის მასწავლებელი ნ. ჭაბაშვილი სრულყოფილად ფლობს რუსულ ენას, მონდომებით ემზადება ყოველი გაკვეთილისათვის. საშინაო დავალების შემოწმების დროს ინდივიდუალური გამოკითხვისა და ფრონტალური კითხვების დასმით აღწევს იმას, რომ კლასში არცერთი მოსწავლე არ დარჩეს შეუმოწმებელი. იგი ახალ მასალას ხსნის ბავშვებისათვის მისაწვდომ და მიმზიდველ ფორმაში, თვითონ კითხულობს მკაფიოდ, გამომეტყველებით. ყოველივე ამის შედეგად მისი მოსწავლეები მესამე კლასში ზეპირი პასუხებისას არ უშვებენ შეცდომებს შეთანხმებაში და სწორად სვამენ მახვილს სიტყვებში.

განვლილი მასალის დამაკმაყოფილებელი ცოდნა გამოავლინეს რუსულ ენაში გორის რაიონის თორტიზის დაწყებითი სკოლის II, III და IV კლასის მოსწავლეებმა. ამ კლასებში რუსულ ენას ასწავლის ახალგაზრდა მასწავლებელი მ. პ. ლალიბაშვილი. იგი როგორც დამწყები მასწავლებელი, ჯერჯერობით კარგად არ არის დაუფლებული რუსული ენის სწავლების მეთოდებს, მაგრამ მონდომებული მუშაობით მაინც აღწევს გარკვეულ შედეგებს.

კარგად ფლობს რუსულ ენას და მისი სწავლების მეთოდებს ჩხოროწყუს რაიონის მეორე ლესიჭინეს დაწყებითი სკოლის გამგე ი. სიჭინავა. იგი დიდ ყურადღებას უთმობს მოსწავლეებში სწორი

მეტყველების ჩვევის გამომუშავებას, სალექსიკონო მუშაობას, მოსწავლეთა სიტყვის მარაგის გამდიდრებას, საპროგრამო მასალის მაღალხარისხოვნად დაძლევას.

დამაკმაყოფილებლად ფლობს რუსულ ენას და კარგად წარმართავს მის სწავლებას წითელწყაროს რაიონის ზემომაჩხაანის დაწყებითი სკოლის რუსული ენის მასწავლებელი რ. ნატროშვილი.

გარკვეული წარმატებებია მოპოვებული რუსული ენის სწავლების საქმეში ხაშურის რაიონის შინდარის და ჩუმათელეთის დაწყებით სკოლებში. მასწავლებლები აბრამიშვილი და ა. კორკოტაძე მხოლოდ რუსულ ენას ასწავლიან. ისინი კარგად ფლობენ ენას და თავის თავზე მუშაობით აღწევენ გარკვეულ შედეგებს: მათი მოსწავლეები II, III, IV კლასებში ავლენენ პროგრამული მასალის დამაკმაყოფილებელ ცოდნას.

კარგად მუშაობენ აგრეთვე რუსული ენის მასწავლებლები თ. ხოხონიშვილი (ლაგოდეხის რაიონი, ჭაბუკიანის დაწყებითი სკოლა), ნ. უგულავა და ე. ჟორჟოლიანი (სამტრედიის რაიონის კულაშის დაწყებითი სკოლა) და სხვ.

შემოწმებულ მასწავლებელთა ერთ ნაწილს კარგად აქვს დაყენებული არითმეტიკის სწავლება. მაგალითად, დამაკმაყოფილებელი ცოდნა გამოამჟღავნეს არითმეტიკაში შინდარის დაწყებითი სკოლის მეორე კლასის მოსწავლეებმა (მასწ. თ. ნადირაძე). მასწავლებელი კარგად არის დაუფლებული არითმეტიკის სწავლების მეთოდებს, სწორად ანაწილებს დროში გაკვეთილის მომენტებს; დროულად და მოხდენილად იყენებს თვალსაჩინოებას და სრული დატვირთვით ამუშავებს მოსწავლეებს.

დამაკმაყოფილებლად არის დაყენებული არითმეტიკის სწავლება ჩხოროწყუს რაიონის ზემო ხუმის დაწყებით სკოლაში. ამ სკოლის გამგე-მასწავლებელი ბ. ვეკუა არითმეტიკას ასწავლის II—IV კლასებში, სადაც მოსწავლეები ავლენენ პროგრამული მასალის ცოდნას, კარგად ფლობენ ზეპირი ანგარიშის ხერხებს, მოქმედებათა თანმიმდევრობით შესრულებას. ასევე კარგად ისწავლება არითმეტიკა ლაგოდეხის დაწყებით სკოლაში (მასწ. კიკილაშვილი). I კლასის მოსწავლეებმა კარგად იციან ათეულის ფარგლებში შეკრება-გამოკლება, ციფრების მართლწერა და სათანადო არითმეტიკული ტერმინოლოგია. დამაკმაყოფილებლად ისწავლება არითმეტიკა წითელწყაროს რაიონის ზემომაჩხაანის დაწყებითი სკოლის III (მასწ. მ. ბოლლაშვილი) და IV (მასწ. ნ. ბაიდოშვილი) კლასებში, აგრეთვე ახმეტის რაიონის ზემოხოდაშენის (მასწ. ს. მამულაშვილი) IV კლასში.

პროგრამული მასალის კარგ ცოდნას ავლენენ ისტორიაში გორის რაიონის თორტიზისა და ლაგოდეხის რაიონის ჭაბუკიანის დაწყებითი სკოლების IV კლასების მოსწავლეები. მასწავლებლებმა ქ. სირბილაძე და მ. შუბითიძე ახალ მასალას ხსნიან მიმზიდველად, ბავშვებისათვის მისაწვდომი ენით. ისინი მოხდენილად იყენებენ თვალსაჩინოებას და ახერხებენ კლასის დაინტერესებას ამ საგნით.

ორგანიზებულად ჩატარდა შრომის გაკვეთილი წითელწყაროს რაიონის ზემომაჩხაანის დაწყებით სკოლის III კლასში (მასწ. ე. ნატროშვილი). აქ ყველა მოსწავლე უზრუნველყოფილი იყო ინდივიდუალური პაკეტებით, საჭირო ხელსაწყოებითა და მასალებით, თითოეული მოსწავლე მუშაობდა სრული დატვირთვით და ამავე დროს ავლენდა კარგ შრომითს ჩვევებს.

ზემოდასახელებული მიღწევების მიუხედავად დაწყებით სკოლებში ცალკეული საგნების სწავლების საქმეში შეინიშნება სერიოზული ხასიათის ნაკლოვანებანი.

მასწავლებელთა ერთი ნაწილი დაბალ დონეზე ასწავლის მშობლიურ ენას, მაგალითად, ლაგოდეხის რაიონის ყარსუბნის, ხაშურის რაიონის კაკალათხევის და ჩუმათელეთის დაწყებითი სკოლების მასწავლებლები პ. ბიწაძე, ნ. კეფაშვილი და ე. მახარაშვილი არ არიან დაუფლებული I კლასში წერა-კითხვის ბგერითი ანალიზურ-სინთეზური მეთოდით სწავლებას, რის შედეგად მოსწავლეები ჩათვლით კითხულობენ, მათ არა აქვთ გამომუშავებული სწორი, შეგნებული კითხვის ჩვევები.

პროგრამული მასალის დაბალი ცოდნა გამოავლინეს ქართულ ენაში ვანის რაიონის ქვედაციხესულორის (მასწავლებლები: მ. კორძაძე, ე. ქავთარაძე, მ. ბელთაძე), სამტრედიის რაიონის ნაფალაურის (მასწავლებლები: ჯ. შენგელია, ნ. გოთოშია), ამავე რაიონის ნინოშვილის სახელობის კულაშის (მასწავლებელი მ. მეიშვილი), ჩხოროწყუს რაიონის ლესიჭინეს (მასწ. ო. ქვანია), ხაშურის რაიონის შინდარის (მასწავლებელი ლ. მელაშვილი), გორის რაიონის თორტიზის (მასწ. ზ. გურგენიძე) დაწყებითი სკოლების მოსწავლეებმა.

დასახელებული მასწავლებლები გულდასმით არ ემზადებიან გაკვეთილებისათვის, უფეროულად და მოსაწყენად ატარებენ მათ, არ მუშაობენ მოსწავლეთა ლექსიკური ფონდის გამდიდრებაზე, არ განმარტავენ და ზოგჯერ არასრულყოფილად უხსნიან ბავშვებს მათთვის უცნობ სიტყვებს, ყურადღებას არ აქცევენ მხატვრულ, გამომეტყველებითს კითხვას, გრამატიკას ასწავლიან ლიტერატურული მასალიდან, პრაქტიკიდან მოწყვეტით, არ ახდენენ შესწავლილი ლიტერატურული ტექსტების გამოყენებას მოსწავლეთა მეტყველების

კულტურის ამაღლებისა და ესთეტიკური და ზნეობრივი აღზრდი-სათვის.

განსაკუთრებით არასასურველი მდგომარეობაა მოსწავლეთა-შორის წერითი მეტყველების კულტურის დანერგვის საქმეში. ბევრ სკოლაში მოსწავლეთა კალიგრაფია ჯერ კიდევ არ დგას სათანადო სიმაღლეზე. მასწავლებლები თუმცა ძირითადად იცავენ განათლების სამინისტროს მიერ დადგენილ წერითი მუშაობის ნორმებს, მაგრამ ხშირად მოსწავლეთა ნამუშევრებს არ ასწორებენ გულდასმით, გაუსწორებლად სტოვებენ რვეულებში უხეშ ორთოგრაფიულ, სინტაქსურ და პუნქტუაციურ შეცდომებს, არ აწარმოებენ შეცდომების ამოწერას, ყურადღებას არ აქცევენ ასოთა სწორ წერას, ასოთა სწორ გადაბმას. საკლასო და საკონტროლო წერისას იშვიათად იყენებენ წერის ისეთ სახეებს, რაც განუვითარებდა მოსწავლეებს დამოუკიდებელი აზროვნების უნარს (შთაბეჭდილებათა გადმოცემა, სურათის აღწერა, დეფორმირებული ტექსტების აღდგენა და სხვ.). ასეთ მასწავლებელთა რიცხვს ეკუთვნიან: ჩხოროწყუს რაიონის ლესიჭინეს დაწყებითი სკოლის მასწავლებელი ო. ქვანია, ხაშურის რაიონის კაკალეთხევის დაწყებითი სკოლის მასწავლებელი ნ. მჭედლიძე, გორის რაიონის ხიდისთავის დაწყებითი სკოლის მასწავლებლები ე. ხერიკაშვილი და ნ. ფიცხელაური, ამავე რაიონის თორტიზის დაწყებითი სკოლის მასწავლებელი პ. ბერძენიშვილი, მცხეთის რაიონის ვაზიანის დაწყებითი სკოლის II კლასის მასწავლებელი თ. კაჭიური და სხვები.

უნდა აღინიშნოს, რომ შემოწმებული რაიონებიდან მშობლიურ (ქართულ) ენაში განსაკუთრებით ძნელდება მუშაობა ჩხოროწყუს რაიონის დაწყებით სკოლებში, რადგან პირველ კლასებში მოდიან მოსწავლეები, რომლებმაც სრულებით არ იციან ქართული ენა. რაიონში ნაკლებად არის საკოლმეურნეო საბავშვო ბაღები, სადაც ბავშვები მიიღებდნენ სკოლამდელ აღზრდას და ელემენტარულად მაინც მოემზადებოდნენ ქართულ ენაზე სწავლებისათვის. სასურველია დაისვას საკითხი სათანადო ორგანოების წინაშე ასეთი ბაღების გახსნის შესახებ.

შემოწმებული რაიონების რიგ სკოლებში რუსულ ენას ასწავლიან სპეციალური განათლების არმქონე პირები, რომლებიც სათანადოდ ვერ ფლობენ ენას და ბავშვებსაც ვერ აძლევენ საჭირო ცოდნას. მაგალითად, წითელწყაროს რაიონის ზემოქედის დაწყებით სკოლაში რუსულ ენას ასწავლის ქართული ენისა და ლიტერატურის სპეციალისტი ბ. მჭედლიშვილი, რომელიც სუსტად ფლობს რუსულ ენას. ის გაკვეთილებს დაბალ დონეზე ატარებს—უშვებს

უხეშ შეცდომებს, არ იყენებს თვალსაჩინოებას, არ მუშაობს ზეპირი მეტყველების განვითარებაზე, რის შედეგად მოსწავლეები რუსული ენის ძალზე სუსტ ცოდნას ამჟღავნებენ. ასევე დაბალია მოსწავლეთა წერის კულტურაც; მასწავლებელი არ იცავს საკონტროლო წერის ნორმებსა და ვერ ასწორებს წერით ნამუშევრებს სათანადო წესის დაცვით.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ახმეტის რაიონის ახშნისველების დაწყებითი სკოლის მე-IV კლასში ჩატარებულმა საკონტროლო წერამ (მასწ. მ. გულიაშვილი) გვიჩვენა, რომ მოსწავლეებს არ უვარგათ კალიგრაფია. ისინი არ არიან დაუფლებული ასოების სწორად, ლამაზად და სუფთად წერას, უშვებენ ორთოგრაფიული და პუნქტუაციური ხასიათის შეცდომებს, კიდევ მეტიც, მასწავლებელი მ. გულიაშვილი თვითონ უშვებს შეცდომებს. მოსწავლეთა ნამუშევრების შეფასებისას „удовлетворительно“-ს ნაცვლად იგი წერს „удворительно“. ნაწერებში ის ვერ ამჩნევს მოსწავლეთა მიერ დაშვებულ შეცდომებს.

არადამაკმაყოფილებლად მუშაობენ გორის რაიონის დაწყებითი სკოლის რუსული ენის მასწავლებლები: გ. ნასყიდაშვილი (ქვემო ახალსოფელი), მ. ჯირკველიშვილი, ე. მაკასარაშვილი (მარანა) და ე. ნონიკაშვილი (ხიდისთავი). ეს მასწავლებლები ძალზე სუსტად ფლობენ ენას და გაკვეთილებს ატარებენ მეთოდურად დაბალ დონეზე. ისინი ენის უცოდინარობის გამო მოკლებული არიან შესაძლებლობას რუსულ ენაზე ესაუბრონ ბავშვებს. არასწორად წარმოთქვამენ ცალკეულ სიტყვებს, თავს ვერ ართმევენ მახვილებს. ამასთანავე ისინი არ ემზადებიან გაკვეთილებისათვის და საერთოდ მათი მუშაობა მოკლებულია რაიმე გარკვეულ სისტემას. ამის შედეგად მათი მოსწავლეების სიტყვათა მარაგი ძალზე ღარიბია და დაბალია წერითი და ზეპირი მეტყველების კულტურა.

ქვემო ახალსოფლის IV კლასის მოსწავლეებმა ვერ შესძლეს საკლასო ოთახის აღწერა, ვერ გასცეს პასუხი ისეთ მარტივ კითხვებზე, როგორიცაა საკუთარი გვარი და სახელი, რომელ კლასში სწავლობენ ისინი და სხვა.

სოფელ მარანას დაწყებითი სკოლის II, III და IV კლასის მოსწავლეები რუსულ ტექსტს კითხულობენ ძალზე ცუდად, საშინლად ამახინჯებენ სიტყვებს, ვერ ახერხებენ დამოუკიდებლად დასმულ კითხვებზე პასუხის გაცემას. დასახელებული მასწავლებლები თუ კვლავაც განაგრძობენ რუსული ენის სწავლებას, აუცილებელი იქნება გულდასმით მოემზადონ ყოველი გაკვეთილისათვის.

ჩხოროწყუს რაიონის ლესიჭინეს, რზენის, ქვემო ზუმის და ნაშელუს დაწყებით სკოლებში, აგრეთვე მცხეთის რაიონის ყველა

შემოწმებულ დაწყებით სკოლაში რუსულ ენას ასწავლიან არასპეციალისტები, რომლებიც თვითონ ვერ ფლობენ რუსულ ენას და ცხადია ძალზე დაბალ დონეზე აქვთ დაყენებული ამ საგნის სწავლება.

სათანადო სიმაღლეზე არ დგას არითმეტიკის სწავლება რიგ შემოწმებულ დაწყებით სკოლებში. მცხეთის რაიონის ვაზიანის დაწყებითი სკოლის IV კლასის მოსწავლეები (მასწ. თ. კაჭიური) ვერ ახერხებენ განვლილი მასალიდან უმარტივესი ამოცანების ამოხსნას. ამ კლასში ჩატარებულ საკონტროლო წერის შედეგად 12 მოსწავლიდან არადამაკმაყოფილებელი შეფასება მიიღო 10 მოსწავლემ. ასევე დაბალია არითმეტიკაში მოსწავლეთა მომზადება ვანის რაიონის ქვედა ციხესულორის დაწყებით სკოლაში (მასწ. მ. კორძაძე). ამ სკოლის IV კლასის მოსწავლეებმა არ იციან ფართობის საზომი ერთეულები, სახელდებული რიცხვები და რაც მთავარია, არა აქვთ გამომუშავებული ზეპირი ანგარიშის ჩვევა. მასწავლებელი მ. კორძაძე არ ემზადება გაკვეთილებისათვის. იგი საჭიროებს მეთოდურ დახელოვნებას.

არითმეტიკის სწავლების დაბალი დონე გამოვლინდა აგრეთვე ჩხოროწყუს რაიონის ლესიჭინეს დაწყებით სკოლაში. ამ სკოლის არითმეტიკის მასწავლებელი დ. პაპასკირი არ კითხულობს დამხმარე მეთოდურ ლიტერატურას, რის გამო მას უჭირს პროგრამით გათვალისწინებული ზოგიერთი საკითხის დაძლევა და გადაწყვეტა.

არადამაკმაყოფილებლადაა დაყენებული არითმეტიკის სწავლება გორის რაიონის ქვემო ახალსოფლის დაწყებით სკოლაში (მასწავლებელი ე. ხომასურიძე). ამ სკოლის IV კლასში ჩატარებული საკონტროლო წერის შედეგად მასწავლებლის შეფასებით—12 მოსწავლიდან „5“-ი მიიღო ერთმა, „4“—სამმა, „3“ 6-მა და „2“—ორმა მოსწავლემ. ამ წერითი ნამუშევრების შემოწმებისას გამოირკვა, რომ მოსწავლეები რიცხვებზე სახელწოდების მიწერას არ აწარმოებენ სწორად. მაგალითად, მოსწავლე ნ. ყირიმელი სახელდებულ რიცხვს ამრავლებს განყენებულ რიცხვზე და ნამრავლში წერს განყენებულ რიცხვს. მოსწავლეები მრავალნიშნა რიცხვის კლასებად დაყოფას ახდენენ მძიმით; რიცხვის ნაწილის პოვნის დროს, როცა წილადს მრიცხველად აქვს 1, ყველა მოსწავლე განაყოფს ამრავლებს ერთზე. მაგალითად, მოსწავლეები წერენ „10,000 კვ. მ.-ის $\frac{1}{4}$ = 10,000 კვ. მ. : : 4×1=2,500 კვ. მ.“ და ეს ყველაფერი მასწავლებელს ნორმალურად აქვს მიჩნეული. მასწავლებელი ე. ხომასურიძე სრულიად არ აქცევს ყურადღებას იმას, თუ როგორ სხედან მოსწავლეები მერხზე

წერის დროს. წერის პროცესში მოსწავლეები არა თუ სხედან, წვანან მერხებზე, რაც შეუმჩნეველი რჩება მასწავლებელს. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ მასწავლებელი ე. ხომასურიძე ავლენს უხეშ დამოკიდებულებას მოსწავლეთა მიმართ.

ლაგოდეხის რაიონის ყარსუბნის დაწყებით სკოლაში მოსწავლეების წერის კულტურის დონე არითმეტიკაში მეტად დაბალია (მასწ. პ. ბიწაძე), ამ სკოლის I და III კლასების მოსწავლეები ციფრებს წერენ დამახინჯებულად და არ იცავენ უჯრედებიან რვეულში წერის წესებს.

დაბალ დონეზე ჩაატარა ისტორიის გაკვეთილი გორის რაიონის ხიდისთავის დაწყებითი სკოლის IV კლასის მასწავლებელმა ნ. ფიცხელაურმა. გამოკითხული მოსწავლეებიდან ვერცერთმა ვერ შესძლო დალაგებულად გადმოეცა საშინაო დავალებად მიცემული მასალა—„რუსეთის ხალხების ცხოვრება მეფის რუსეთის დროს". მოსწავლეებს უჭირთ ორიენტირება რუკაზე.

შემოწმებამ გვიჩვენა, რომ დაწყებითი სკოლების სასწავლო-სააღმზრდელო მუშაობაში ჯერ კიდევ ვერ დაიჭირა შესაფერისი ადგილი ესთეტიკური აღზრდის საგნებმა (სახვითი ხელოვნება, სიმღერა). აღნიშნული საგნების სწავლება თითქმის ყველგან მეტად დაბალ დონეზეა დაყენებული. საშუალო პედაგოგიური განათლების მქონე მასწავლებლები, რომლებსაც ამ საგნის სწავლება უხდებათ, სრულყოფილად ვერ ფლობენ პროგრამით გათვალისწინებულ საკითხებს და მათი სწავლების მეთოდიკას. არ მუშაობენ თავის თავზე, არ ეცნობიან და არ იყენებენ მეთოდურ ლიტერატურას, არ ცდილობენ გაიზიარონ მოწინავე მასწავლებელთა გამოცდილება, საქმე ზოგჯერ იქამდეც მიდის, რომ მასწავლებლებმა არ იციან პროგრამის მოთხოვნილებები. სკოლებს არ გააჩნიათ არავითარი მუსიკალური ინსტრუმენტი სიმღერის გაკვეთილებზე გამოსაყენებლად. ხშირად მოსწავლეებს არ აქვთ შეძენილი საჭირო სასწავლო ნივთები, სახატავი რვეულები, საღებავები და სხვა. არის შემთხვევები, როცა სახვითი ხელოვნების გაკვეთილზე მოსწავლეები ხაზიან რვეულებში მუშაობენ.

ყოველივე ამის შედეგად დაწყებით სკოლებში, როგორც სიმღერა ისევე სახვითი ხელოვნება მეტად კუსტარულად ან სრულიად არ ისწავლება.

შემოწმებისას მეტად უხარისხოდ ჩაატარა სიმღერის გაკვეთილი ახმეტის რაიონის ზემო ხოდაშენის დაწყებითი სკოლის IV კლასში მასწავლებელმა ბოტკოველმა. იგი ვერ ფლობს ამ საგნის ელემენტარულ საკითხებს. არ გააჩნია არავითარი მუსიკალური ინს-

ტრუმენტი, არც იმის უნარი, რომ ბავშვებს სწორად შეასწავლოს ესა თუ ის მელოდია. იგი მოსწავლეებს არ აწვდის ცნობებს გამოჩენილ კომპოზიტორთა ცხოვრებასა და მოღვაწეობაზე.

ანალოგიური მდგომარეობაა ფიზკულტურის სწავლების საქმეში. სკოლებს სრულიად არ მოეპოვებათ მატერიალური ბაზა ფიზკულტურის სწავლებისათვის, არა აქვთ სპორტული იარაღები, ეზოებში არ არის მოწყობილი სარბენი ბილიკები და სახტომი ორმოები. განსაკუთრებით ძნელდება ფიზკულტურის გაკვეთილების ჩატარება უამინდობის პირობებში, როცა ბავშვების ეზოში გაყვანა შეუძლებელი ხდება, ხოლო სკოლებს არა თუ სპორტული დარბაზი, არამედ აივანიც არა აქვთ, სადაც შეიძლებოდეს მოსწავლეთა მწკრივში მოწყობა. იმის გამო, რომ ამ საგნის სწავლებაც არასპეციალისტებს უხდებათ, ფიზკულტურის გაკვეთილები მეტად პრიმიტიულად და უხარისხოდ ტარდება.

ჩხოროწყუს რაიონის ლესიჭინეს დაწყებითი სკოლის გამგე ტ. ჟვანია, რომელსაც ოპერაციის შედეგად დაკარგული აქვს ხმა, სკოლაში ფიზკულტურისა და სახვითი ხელოვნების გაკვეთილებს ატარებს. მისი წარმოდგენით ამ საგნების სწავლება შესაძლებელია მასწავლებლის ცოცხალი მეტყველების გარეშე, რაც ცხადია არ არის სწორი.

გარკვეული ნაკლოვანებანი ახასიათებს აგრეთვე შრომის სწავლებას დაწყებით სკოლებში. ხშირად შრომის გაკვეთილები არ ტარდება ორგანიზებულად: ზოგჯერ ყველა მოსწავლეს არ აქვს ხელსაწყო-იარაღები, რის გამო ვერ ხერხდება კლასის მთლიანად ჩაბმა მუშაობაში. სკოლები იშვიათად აწარმოებენ წლის განმავლობაში მოსწავლეთა ნახელავის შეგროვებას და გამოფენის მოწყობას. მასწავლებლები ზოგჯერ არ იყენებენ მუშაობის პროცესში შრომის პროგრამით გათვალისწინებულ ყველა სახეს (მუშაობა პლასტელინზე, ქაღალდზე, ჭრა-კერვა, ქარგვა, საზოგადოებრივ-სასარგებლო შრომა და სხვ.).

საქართველოს სსრ პირობებში დაწყებითი სკოლების დიდი ნაწილი ორ და მეტ კლასკომპლექტიანია. ამიტომ უდიდესი მნიშვნელობა ენიჭება მასწავლებელთა დახელოვნებას ორ და მეტ კლასთან მუშაობის ხერხებსა და მეთოდებში. აღსანიშნავია, რომ შემოწმებულ მასწავლებელთაგან ზოგიერთი ახერხებს სრული დატვირთვით ამუშაოს ორივე კლასი და ნაყოფიერ შედეგსაც მიაღწიოს ცალკეული საგნების სწავლებაში. მაგალითად, დიდი მონდომებით და პასუხისმგებლობით მუშაობენ კლასკომპლექტებთან ხაშურის რაიონის ბელლეთის დაწყებითი სკოლის გამგე—მასწავლებელი თამარ

მანჩხაშვილი (II—IV კლასი), ამავე სკოლის I—III კლასის მასწავლებელი სალომე პავლაძე და ახმეტის რაიონის საბეროს დაწყებითი სკოლის II—III კლასის მასწავლებელი ე. კანდელაკიშვილი. ეს მასწავლებლები სისტემატურად მუშაობენ თავის თავზე და ეუფლებიან კლასკომპლექტთან მუშაობის ხერხებს. მათ კარგად აქვთ შერჩეული დამოუკიდებელი მუშაობის სახეები ცალკე საგნების მიხედვით, მოფიქრებულად ადგენენ გაკვეთილის გეგმებს და ძირითადად ახერხებენ სრული დატვირთვით ამუშაონ ორივე კლასი გაკვეთილის განმავლობაში. ამ სკოლაში სწორად არის გადაწყვეტილი კლასების დაწყვილება და მოფიქრებულად არის შედგენილი გაკვეთილების ცხრილი.

ბიბლიოთეკა

ორ კლასთან მუშაობას თავს ვერ ართმევს მცხეთის რაიონის ვაზიანის დაწყებითი სკოლის II—IV კლასების მასწავლებელი თ. კაჭიური. მასწავლებელი კაჭიური საერთოდ შეუძლებლად თვლის ერთდროულად ორ კლასთან მუშაობას.

ორ კლასთან ერთდროული მუშაობა უჭირს აგრეთვე ჩხოროწყუს რაიონის რზენის დაწყებითი სკოლის II—IV კლასების მასწავლებელს შ. ესართიას. იგი ვერ ახერხებს შეარჩიოს დამოუკიდებელი მუშაობის სახეები ცალკეული საგნების სწავლებისას, ამიტომაც როცა იგი ერთ კლასთან მუშაობს, მეორე კლასი უსაქმოდ რჩება. ამის შედეგად მოსწავლეთა მომზადების დონე ამ კლასებში ქართულ ენასა და არითმეტიკაში საგრძნობლად დაბალია.

ორ კლასთან ერთდროულად მუშაობის ხერხებს სრულიად ვერ ფლობენ გორის რაიონის მარანას დაწყებითი სკოლის მასწავლებლები მ. ჯირკველაშვილი და ე. მაკასარაშვილი, რის შედეგადაც ამ სკოლაში სასწავლო დისციპლინები დაბალ დონეზე ისწავლება.

უნდა აღინიშნოს, რომ შემოწმებული სკოლების ერთ ნაწილში სათანადო ყურადღება არ ექცევა მოსწავლეთა ჩაცმულობას, დავარცხნილობას, სიფაქიზეს და, რაც მთავარია, პირად ჰიგიენას. ზოგიერთ მასწავლებელს კი ეს მნიშვნელოვანი საკითხი არ მიაჩნია თავის სისხლხორცეულ საქმედ.

იმის გამო, რომ სკოლებს არა აქვთ მოწყობილი საკიდებლები და აგრეთვე იმიტომაც, რომ კლასები არასაკმაოდ თბება, თითქმის ყველგან ბავშვები გაკვეთილებზე ზედა ტანსაცმელით სხედან.

შემოწმებამ გვიჩვენა, რომ დაწყებითი სკოლების მასწავლებლები არასაკმაოდ არიან უზრუნველყოფილი სათანადო პედაგოგიური და მეთოდური ლიტერატურით. შემოწმებული სკოლების დიდ უმრავლესობას არ გააჩნიათ საქართველოს სსრ განათლების სამი-

ნისტროს მიერ დაგზავნილი საინსტრუქციო ხასიათის მასალებიც კი. მაგალითად, გარდა იშვიათი გამონაკლისისა, სკოლებში არ აღმოჩნდა ბრძანებათა და ინსტრუქციათა 1961 წლის № 7 კრებული, რომელშიაც მოთავსებულია განათლების მინისტრის ბრძანება დაწყებით სკოლებში სასწავლო-აღმზრდელობითი მუშაობის გაუმჯობესების ღონისძიებათა შესახებ და მითითებები ამავე სკოლებში ცალკეული საგნების სწავლების შესახებ; სკოლებს არ აღმოაჩნდათ აგრეთვე 1961 წლის № 6 კრებული, რომელშიაც გამოქვეყნებულია ინსტრუქციულ-მეთოდური წერილი მასწავლებელთა მეთოდური მუშაობის შესახებ.

8-წლიანი და საშუალო სკოლების ერთი ნაწილი, ერთგვარ დახმარებას უწევს მათზე მიმაგრებულ დაწყებით სკოლებს სასწავლო-აღმზრდელობითი მუშაობის გაუმჯობესების საქმეში. დაწყებითი სკოლების მასწავლებლები გაერთიანებული არიან ამ რვაწლიან ან საშუალო სკოლებთან ჩამოყალიბებულ მეთოდგაერთიანებებში (კლასების მიხედვით) და გარკვეულ მუშაობასაც ატარებენ მოწინავე მასწავლებელთა გამოცდილების გავრცელებისათვის, მაგრამ უმეტეს შემთხვევაში ეს სკოლები არასაკმაო დახმარებას უწევენ დაწყებით სკოლებს და სისტემატურად არ ზრუნავენ ამ სკოლებში სასწავლო-აღმზრდელობითი მუშაობის გარდასაქმნელად. მაგალითად, სუსტია შესაბამისი რვაწლიანი და საშუალო სკოლების დახმარება და ხელმძღვანელობა მათზე მიმაგრებული დაწყებითი სკოლების მიმართ ჩხოროწყუს, მცხეთისა და ზოგიერთ სხვა რაიონში.

ზოგიერთი რაიონის განათლების განყოფილება სისტემატურად სწავლობს დაწყებითი სკოლების მუშაობას, დახმარებას უწევს მათ ადგილზე, იხილავს სახალხო განათლების საბჭოს სხდომაზე დაწყებითი სკოლების მუშაობის საკითხებს და სახავს ღონისძიებებს მათი მუშაობის გასაუმჯობესებლად. მაგალითად, სამტრედიის რაიონის განათლების განყოფილებას მიმდინარე სასწავლო წელს შეუსწავლია ყველა დაწყებითი სკოლის მუშაობა. მიმდინარე წლის მანძილზე დიდი რაოდენობით არის შესწავლილი დაწყებითი სკოლების მუშაობა აგრეთვე გორის რაიონში. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ განათლების სამინისტროს მიერ ჩატარებული შემოწმების შედეგად საქართველოს კპ გორის რაიკომის იდეოლოგიურმა კომისიამ და რაიონის განათლების განყოფილებამ შეისწავლეს რაიონის 67 დაწყებითი სკოლის მუშაობა. შემოწმების მასალები განხილულ იქნა საქართველოს კპ გორის რაიკომის ბიუროსა და რაიონული საბჭოს აღმასკომის გაერთიანებულ სხდომაზე, რის შედეგად დაი-

სახა მნიშვნელოვანი ღონისძიებები მუშაობის გაუმჯობესების მიზნით.

გარდა ამისა, გორის რაიონის განათლების განყოფილებამ საზამთრო არდადეგების პერიოდში—7 იანვარს ჩაატარა პედაგოგიური კითხვა რაიონის დაწყებითი სკოლების მასწავლებლებისათვის, სადაც წაკითხულ იქნა მოხსენებები თემაზე: „როგორ ვიყენებ თვალსაჩინოებას ახსნითი კითხვის გაკვეთილებზე“, (მასწ. ნ. მეგრელიშვილი) „ჩემი მუშაობა მოსწავლეთა წერითი მეტყველების მაღალი კულტურის დანერგვისათვის“ (მასწ. ვ. რამაზაშვილი), „როგორ ვასწავლი წერა-კითხვას I კლასში (ლ. კომიძე), „როგორ ვასწავლი ნატურიდან ხატვას III კლასში“ და სხვ.

მაგრამ ყველა რაიონის განათლების განყოფილება არ უწევს სათანადო დახმარებას დაწყებით სკოლებს. მაგალითად, ცხაკაიას რაიონის განათლების განყოფილებას უკანასკნელი ორი წლის განმავლობაში არ შეუმოწმებია ჩხოროწყუს ზონის არცერთი დაწყებითი სკოლის მუშაობა.

სკოლების სამმართველოს
ინსპექტორი ე. **აგლაძე**

ეროვნული ბიბლიოთეკა

## საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს 1965 წ. 10 მარტის ბრძანება № 242

### თბილისის სკოლებში ბუფეტებისა და სასადილოების მუშაობის შემოწმების შედეგების შესახებ

საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს კოლეგია აღნიშნავს, რომ ქ. თბილისის მთელ რიგ სკოლებში (მე-10, მე-11, მე-14, 24-ე, მე-40, 45-ე, 47-ე, 52-ე, მე-60, 62-ე, 66-ე, 68-ე, 69-ე, 71-ე, 89-ე, 98-ე, 104-ე) ბუფეტებისა და სასადილოების მუშაობა დამაკმაყოფილებელია: გამოყოფილია შესაფერისი ბინები და უზრუნველყოფილია საჭირო ინვენტარით, სათავსოებით, წყალგაყვანილობით, მაცივრებით, გაზის ქურებით, ელექტროღუმელებით და ჰიგიენური მაგიდებით; ბუფეტებში და სასადილოებში დაცულია სანჰიგიენური პირობები.

რაიონული სამზარეულოები ძირითადად დამაკმაყოფილებლად და დროულად ამარაგებენ სასკოლო ბუფეტებსა და სასადილოებს რძით, მაწვნით, არაჟანით, ხაჭოთი, სოსისითა და სხვადასხვა სახის ფუნთუშეულით.

მიუხედავად ამისა, სკოლების ბუფეტებისა და სასადილოების მუშაობაში ჯერ კიდევ აქვს ადგილი არსებითი ხასიათის ნაკლოვანებებს.

სასკოლო კვების საქმეში რიგი დარღვევები შეინიშნება მარცხენა ნაპირის ტრესტის მუშაობაში. მას 26 კომისრის სახელობის რაიონში შეაქვს სასკოლო ბუფეტებისათვის შეუფერებელი ასორტიმენტი—ძვირფასიანი ნამცხვარი, ძეხვი, კამფეტი, ყურძნის წვენი, ლიმონათი, შეფუთული ნამცხვარი და სხვა.

რიგი სკოლები (მე-9, მე-10, მე-13, მე-14, 87-ე, 92-ე, 95-ე, მე-100, 116-ე), პროდუქტს ღებულობენ მეტად დაგვიანებით $11^{30}$ საათზე, 11 საათზე.

არც ერთი სასკოლო ბუფეტი ხილეულს არ ღებულობს. ყველა სასკოლო ბუფეტი მარაგდება უხარისხო სოსისით, რომელიც მოხარშვის შემდეგ უფრო კარგავს ხარისხს, პატარავდება და იფიტება.

ქალაქის რიგ სკოლებში სადილი მოაქვთ რაი-სამზარეულოდან.

ეროვნული ბიბლიოთეკა

სადილი დაბალი ხარისხისაა, რის გამო მოსწავლეთა მშობლები უარს აცხადებენ თვიანთი შვილები ჰკვებონ ამ სადილით (23-ე, 29-ე, 122-ე სკოლები).

მიუხედავად არაერთჯერადი გაფრთხილებისა, სასკოლო ბუფეტებში დღემდე ვერ მოწესრიგდა: ა) I და II კლასების მოსწავლეთა კვების საკითხი, ისინი საუზმის მისაღებად ისევ ბუფეტში დადიან; ბ) აბონემენტებით ვაჭრობა I—IV კლასებში.

მარცხენა ნაპირის ტრესტის ავტოგარაჟის არადამაკმაყოფილებელი მუშაობის შედეგად ლენინისა და 26 კომისრის სახ. რაიონების სკოლებიდან რძისა და მაწვნის ტარა კვირაში მხოლოდ ერთხელ გააქვთ.

მე-13, მე-18, 30-ე, 32-ე, 43-ე, 59-ე, 73-ე, 75-ე, 92-ე, 102-ე, 122-ე სკოლების დირექტორებმა ჯერ კიდევ ვერ უზრუნველყვეს სასკოლო ბუფეტები შესაფერისი ბინით.

მე-13, მე-14, 92-ე სკოლებში დღემდე არ არის დადგმული გაზქურები.

43-ე საშუალო სკოლაში (დირექტორი გ. კორსაველი) ბუფეტისა და სასადილოსათვის გამოყოფილია ორი დიდი ოთახი, მაგრამ სასადილოს კედლები ნესტიანია და საჭიროა ჰიდრო-იზოლაციის გაკეთება. მებუფეტე მ. ხაჩატუროვა არაკეთილსინდისიერად მუშაობს, ის რძეში ურევს წყალს და უხარისხოდ ამზადებს კაკაოს და კისელს.

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ

ქ. თბილისის სასკოლო ბუფეტებისა და სასადილოების მუშაობის გაუმჯობესების მიზნით თბილისის მშრომელთა დეპუტატების საქალაქო საბჭოს აღმასკომის განათლების განყოფილებამ (ამხ. თ. ეგაძე):

ა) მიიღოს სათანადო ზომები მე-3, მე-18, 30-ე, 32-ე, 43-ე, 59-ე, 73-ე, 75-ე, 92-ე, 102-ე, 122-ე სკოლების ბუფეტებისა და სასადილოების შესაფერისი ბინით უზრუნველსაყოფად;

ბ) დასვას საკითხი მარჯვენა ნაპირის ტრესტის წინაშე 43-ე სკოლის მებუფეტე მ. ხაჩატუროვას შესახებ;

გ) დაავალოს სკოლების დირექტორებს მოაწესრიგონ I და II კლასების მოსწავლეთა კვება საკლასო ოთახებში და უზრუნველყონ I—IV კლასების მოსწავლეებს შორის აბონემენტების გავრცელება.

2. ეთხოვოს საქართველოს სსრ ვაჭრობის სამინისტროს, რათა მარცხენა ნაპირის ტრესტმა:

ა) უზრუნველყოს სასკოლო ბუფეტებში პროდუქტების შეზიდვა დილის 8 საათამდე.

ბ) უზრუნველყოს ტარის დროულად გატანა ლენინისა და 26 კომისრის სახელობის რაიონების სასკოლო ბუფეტებიდან;

გ) შეწყვიტოს სასკოლო ბუფეტებისადმი მაღალფასიანი პრო-დუქტების გაცემა.

3. დაისვას საკითხი საქართველოს სსრ სახალხო მეურნეობის საბჭოს წინაშე სოსისის ხარისხის გაუმჯობესების შესახებ.

4. თბილისის მშრომელთა დეპუტატების საქალაქო საბჭოს აღმასკომის განათლების განყოფილებამ (ამხ. თ. ეგაძე) თვალყური ადევნოს ამ ბრძანების შესრულების მიმდინარეობას და შედეგების შესახებ მოამხსენოს სასწავლო წლის დასასრულს.

საქართველოს სსრ განათლების
მინისტრი თ. ლაშქარაშვილი

---

ეროვნული ბიბლიოთეკა

## საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს 1965 წ. 15 მარტის ბრძანება № 251

### საქართველოს სსრ 14—17 წლის ასაკის მოზარდთა აღრიცხვის შედეგების შესახებ

ზემდგომი ორგანოების დადგენილებების საფუძველზე საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული ცენტრალური სტატისტიკური სამმართველოს მიერ 1964 წლის პირველი ოქტომბრის მდგომარეობით ჩატარებულმა 14—17 წლის ასაკის მოზარდთა აღრიცხვამ გვიჩვენა, რომ ამ ასაკის მოზარდთა სწავლებისა და საზოგადოებრივ სასარგებლო შრომაში ჩაბმის მხრივ რესპუბლიკაში არასახარბიელო მდგომარეობაა.

ძირითადი ნაწილი 14—17 წლის ასაკის მოზარდებისა სწავლობს ზოგადსაგანმანათლებლო სკოლებში და სხვა საშუალო სპეციალურ სასწავლებლებში. ნაწილი ათავსებს სწავლას შრომასთან წარმოებაში, დაწესებულებებში, კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებში, ნაწილი მხოლოდ მუშაობს და არ სწავლობს. ამავე დროს არის გარკვეული რაოდენობა მოზარდებისა, რომლებიც არა თუ არ სწავლობენ, არამედ ჩაბმულიც კი არ არიან საზოგადოებრივ სასარგებლო შრომაში. ასეთი მოზარდების რიცხვი, აღრიცხვის მიხედვით საკმაოდ დიდია.

განსაკუთრებით უნდა აღინიშნოს, რომ მთელ რიგ სოფლებში საშუალო და რვაწლიანი სკოლების უქონლობის გამო, მოზარდები ოთხი კლასის დამთავრების შემდეგ აღარ აგრძელებენ სწავლას და მუშაობას ეწევიან ოჯახში ან თავიანთ საკარმიდამო ნაკვეთზე. ასეთი მდგომარეობაა მაგ. გორის რაიონში (სოფლები: ველები, ავკეთი, გვერდეთი, ხანდისი, ლევიტანი, გორიჯვარი), მცხეთის რაიონში (სოფლები: სათოვლე, ხეკორძი, კავლიანი), მაიაკოვსკის რაიონში (სოფელი ცხრამთა, შუასკარი) და რესპუბლიკის სხვა რაიონებში.

მიუხედავად გატარებული ღონისძიებებისა ჯერ კიდევ დარჩენილია სკოლის გარეთ სასკოლო ასაკის ბავშვები აჭარის ასსრ-ში 100, ბოლნისის რაიონში 152, ახალქალაქის რაიონში—65, წალკის

რაიონში—50, მარნეულის რაიონში—41, ქარელის რაიონში—40, კასპის რაიონში 35, წითელწყაროს რაიონში—15, ქ. თბილისის 26, კომისრის რაიონში—14, ორჯონიკიძის რაიონში—20, კარელის რაიონში—9, პირველი მაისის რაიონში—8; ქ. ფოთში—7, დუშეთის რაიონში 8, სიღნაღის რაიონში—7 და სხვ.

ბოლნისის, მარნეულის, დმანისის, გარდაბნის და სხვა რაიონების აზერბაიჯანული სკოლების VII—VIII კლასებიდან გოგონები თავს ანებებენ სწავლას და მშობლების იძულებით ნაადრევად თხოვდებიან. მაგ. ქვემო ბოლნისის აზერბაიჯანულ საშუალო სკოლაში, სადაც სწავლას ჩამოშორებულია 72 ბავშვი და მოზარდი, VII—VIII კლასებში 135 მოსწავლიდან მხოლოდ 15 გოგონაა, ხოლო IX—X—XI კლასებში 91 მოსწავლიდან არცერთი გოგონა არ არის.

სავულისხმოა ისიც, რომ ეს თითო-ოროლა გოგონაც არ ცხადდება სკოლაში და ქვემო ბოლნისის საშუალო სკოლის VII—XI კლასები ვაჟთა კლასებად არის გადაქცეული. ანალოგიურ ფაქტებს აქვს ადგილი დასახელებული რაიონების სხვა აზერბაიჯანულ სკოლებში.

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ

აფხაზეთისა და აჭარის ასსრ განათლების სამინისტროებმა, სამხრეთ ოსეთის ა/ო-ის, ქალაქების და რაიონების განათლების განყოფილებებმა:

ა) ყველა ზომა მიიღონ სკოლას ჩამოცილებული მოზარდების სწავლებაში ჩასაბმელად;

ბ) პარტიული და საბჭოთა ადგილობრივი ორგანოების დახმარებით ქმედითი ზომები გაატარონ იმ მოზარდთა საღამოს სკოლებში ჩასაბმელად, რომლებიც მუშაობენ და რვა კლასის განათლება არა აქვთ.

3. გორის, მცხეთის, მაიაკოვსკის რაიონის განათლების განყოფილებებმა (ამხ. ამხ. ა. ჩხაიძე, ა. ლაშხაური, ვ. გიორგობიანი): საფუძვლიანად შეისწავლონ ამ ბრძანებაში აღნიშნულ სოფლებში სკოლების ქსელის განლაგება და წარმოადგინონ წინადადებები მომავალში 4 კლასის დამთავრების შემდეგ ბავშვებისათვის სწავლის გაგრძელებისათვის ნორმალური პირობების უზრუნველსაყოფად.

4. ბოლნისის, მარნეულის, დმანისის, გარდაბნის რაიონების განათლების განყოფილებებმა მკვეთრად გააძლიერონ მშობლებთა შორის პედაგოგიური პროპაგანდა. რათა არ დაუშვან მოსწავლე გოგონების ნაადრევად გათხოვება.

5. ეს ბრძანება განხილულ იქნეს რესპუბლიკის ყველა სკოლის პედაგოგიური საბჭოს სხდომებზე და ადგილობრივი პირობების შესაბამისად დაისახოს სათანადო ღონისძიებები ამ საქმეში არსებულ ნაკლოვანებათა აღმოსაფხვრელად.

ეროვნული ბიბლიოთეკა

**საფუძველი:** საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს კოლეგიის 1965 წლის 15 მარტის დადგენილება.

საქართველოს სსრ განათლების
მინისტრი თ. **ლაშქარაშვილი**

---

ეროვნული ბიბლიოთეკა

## საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს 1965 წ. 15 მარტის ბრძანება № 252

**ნორჩ მხარეთმცოდნეთა მე-4 რესპუბლიკური შეკრების შედეგების და მე-5 რესპუბლიკური შეკრების ჩატარების ღონისძიებათა შესახებ**

ნორჩ მხარეთმცოდნეთა მე-4 რესპუბლიკურმა შეკრებამ, რომელიც 1965 წლის იანვარში ჩატარდა, გამოავლინა მშობლიური მხარის შესწავლით დაინტერესებული მოსწავლეები, მთელი რიგი სასკოლო მხარეთმცოდნეობითი სექციებისა და წრეების მრავალფეროვანი და შინაარსიანი საქმიანობა.

ნორჩ მხარეთმცოდნეთა მე-4 რესპუბლიკური შეკრება თავის მასშტაბით განსხვავდებოდა წინა შეკრებებიდან იმით, რომ მუშაობაში მონაწილეობას იღებდნენ მოსკოვის, ნოვოსიბირსკის, ოდესისა და ჩრდილოეთ კავკასიის ნორჩი მხარეთმცოდნეები.

აღსანიშნავია ისიც, რომ შეკრებაში მონაწილეობდა ქ. მოსკოვში მოწვეული ანთროპოლოგთა და ეთნოგრაფთა მე-7 საერთაშორისო კონგრესის მონაწილე ჩვენი რესპუბლიკის 13 ნორჩი მხარეთმცოდნე.

ნორჩ მხარეთმცოდნეთა მუშაობამ კიდევ უფრო გაზარდა ჩვენი ნორჩი თაობის ინტერესი მშობლიური მხარის ღრმა შესწავლისადმი. ნორჩ მხარეთმცოდნეთა შეკრებაზე წარმოდგენილი იყო მოსწავლეთა ნამუშევრების მრავალი სახეობა: ეთნოგრაფიული, არქეოლოგიური, გეოგრაფ-გეოლოგიური კოლექციები, მათ მიერ დამზადებული ეთნოგრაფიული ხასიათის ნივთები და საგნები, ჩატარებული ექსპედიციებისა და ექსკურსიების მხატვრულად გაფორმებული მარშრუტები და ფოტო-სტენდები; ახალ მშენებლობათა ამსახველი მაკეტები, ქალაქისა და სოფლის სოციალისტური ყოფის მაუწყებელი დიაგრამები და კარტოგრამები; მათ მიერ შეკრებილი საბჭოთა ხალხის გმირული ეპოპეის, სამამულო ომის სახელოვან მატიანის ამსახველი მრავალი დოკუმენტი, ქართველი ხალხის მდიდარი ფოლკლორული მასალების ნიმუშები და სხვა.

ნორჩ მხარეთმცოდნეთა მე-4 რესპუბლიკური შეკრების მუშაობაში მონაწილეობა მიიღო რესპუბლიკის 28 რაიონის რვაწლიანი, საშუალო სკოლებისა და პიონერთა სახლების 500-მდე მოსწავლემ და მოძმე რესპუბლიკების 32 ნორჩმა მხარეთმცოდნემ.

ამ დარგში განსაკუთრებით კარგი მუშაობით თავი გამოიჩინეს თერჯოლის, კასპის, დუშეთის, მახარაძის, ბათუმის, ფოთის და ლანჩხუთის პიონერთა და მოსწავლეთა სახლებმა და ქალაქების თბილისისა და ქუთაისის პიონერთა და მოსწავლეთა სასახლეებმა.

კარგი ექსპონატები წარმოადგინეს თბილისის პიონერთა და მოსწავლეთა სასახლის, 1-ლი, 37-ე, 62-ე სკოლების ნორჩ მხარეთმცოდნეთა სექციებმა; ქუთაისის პიონერთა და მოსწავლეთა სასახლის; ბათუმის საოლქო პიონერთა სახლის და 21-ე საშ. სკოლის, ფოთის პიონერთა პარკის; თელავის მე-4, საგარეჯოს მე-2, გომბორის, თერჯოლის რაიონის ჩხარის, საჩხერის რაიონის ქორეთისა და ჭალის მხარეთმცოდნეთა სექციებმა; ზუგდიდის რაიონის ჯვარის, ცაგერის, ახალციხისა და ახალქალაქის საშ. სკოლების მოსწავლეებმა, გორის რაიონის ქვახვრელის, მეჯვრისხევის, ქარელის რაიონის რუისის, ზემოხვედურეთის, ქარელის II საშ. სკოლის, რუსთავის II და მცხეთის 1-ლი საშ. სკოლების მხარეთმცოდნეებმა; გარდაბნის რაიონის წყნეთის, წავკისის და ნორიოს საშ. სკოლების მოსწავლეებმა. მოკავშირე რესპუბლიკებიდან მოსკოვის, ნოვოსიბირსკის და ქ. ორჯონიკიძის პიონერთა და მოსწავლეთა სასახლეების და ოდესის 117-ე საშ. სკოლის მხარეთმცოდნეებმა. შეკრების მონაწილენი გაეცნენ თბილისის, რუსთავისა და მცხეთის ღირსშესანიშნაობებს.

აღსანიშნავია თბილისის პიონერთა სასახლის დირექტორის (ამხ. ჯ. კვარაცხელიასა და მხარეთმცოდნეობის კაბინეტის გამგის ამხ. ირ. მიქელაძის ნაყოფიერი მუშაობა შეკრების ორგანიზებულად და მაღალ იდეურ დონეზე ჩატარების საქმეში.

კოლეგია აღნიშნავს, რომ ჯერ კიდევ ამ ღონისძიებებში მცირე რაოდენობითაა ჩაბმული ჩვენი რესპუბლიკის სკოლები და სკოლის გარეშე დაწესებულებები.

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ -

I. ნორჩ მხარეთმცოდნეთა მეოთხე რესპუბლიკურ შეკრებაში აქტიური მონაწილეობისა და შეკრებაზე საუკეთესო ნამუშევრების წარმოდგენისათვის დაჯილდოებულ იქნენ საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს სიგელებით:

1. აბულაძე იზოლდა სევერიანის ასული — თერჯოლის პიონერთა და მოსწავლეთა სახლი

2. მაჩიტაძე ნატალია ივანეს ასული—თერჯოლის პიონერთა და მოსწავლეთა სახლი

3. ფიფინოვი გიული დავითის ასული—თერჯოლის პიონერთა და მოსწავლეთა სახლი

4. ქურციკიძე დალი შალვას ასული—თერჯოლის პიონერთა და მოსწავლეთა სახლი

5. აბესალაშვილი ქეთევან ვლადიმერის ასული—თერჯოლის პიონერთა და მოსწავლეთა სახლი

6. ზარნაძე ნარგიზ დავითის ასული—თერჯოლის პიონერთა და მოსწავლეთა სახლი

7. აბესალაშვილი ნანა დავითის ასული—თერჯოლის პიონერთა და მოსწავლეთა სახლი

8. ზარნაძე ნარგიზ ნიკოლოზის ასული—თერჯოლის პიონერთა და მოსწავლეთა სახლი

9. აბულაძე ზაზა დავითის ძე—თერჯოლის პიონერთა და მოსწავლეთა სახლი

10. ბოჭორიშვილი ზაირა დავითის ასული—თერჯოლის პიონერთა და მოსწავლეთა სახლი

11. ფანჩულიძე დარეჯან კარლოს ასული—თერჯოლის პიონერთა და მოსწავლეთა სახლი

12. ვერულაშვილი ტარიელ შოთას ძე—თერჯოლის პიონერთა და მოსწავლეთა სახლი

13. ზარნაძე მანანა ნიკოლოზის ასული—თერჯოლის პიონერთა და მოსწავლეთა სახლი

14. კახიშვილი ალექსანდრე აბრამის ძე—კასპის პიონერთა და მოსწავლეთა სახლი

15. სეთურიძე შალვა ალექსანდრეს ასული—კასპის პიონერთა და მოსწავლეთა სახლი

16. ურნელიძე ელენე ავთანდილის ასული—მცხეთის 1-ლი საშ. სკოლა

17. ბურიახინი ცირა შალვას ასული—მცხეთის 1-ლი საშ. სკოლა

18. ალიბეგაშვილი ციცინო ვასილის ასული მცხეთის 1-ლი საშ. სკოლა

19. ლომაური მარინე არჩილის ასული—მცხეთის 1-ლი საშ. სკოლა

20. თვალჭრელიძე გელა სერგოს ძე—მცხეთის 1-ლი საშ. სკოლა

21. ოსეფაშვილი შალვა ისაკის ძე—მცხეთის 1-ლი საშ. სკოლა

22. მირესაშვილი ლიანა ივანეს ასული—მცხეთის 1-ლი საშ. სკოლა

23. აბაევი ანატოლი გრიგოლის ძე—მცხეთის 1-ლი საშ. სკოლა

24. ბეჟანიშვილი მერი ვლადიმერის ასული—მცხეთის 1-ლი საშ. სკოლა

25. მრევლიშვილი ეთერი პეტრეს ასული—მცხეთის 1-ლი საშ. სკოლა

26. კაპანაძე ნუნუ ავთანდილის ასული—საჩხერის რაიონის ქორეთის საშ. სკოლა

27. დიასამიძე გივი ანტონის ძე- საჩხერის რაიონის ქორეთის საშ. სკოლა

28. ხიზანიშვილი მანანა სიმონის ასული—მცხეთის 1-ლი საშ. სკოლა

29. ბაზაევი ოლეგ იპოლიტეს ძე—საჩხერის რაიონის ჭალის საშ. სკოლა

30. კიკვაძე ნიკიტა სერგოს ძე—მახარაძის 1-ლი საშ. სკოლა

31. იობაშვილი გურამ გიორგის ძე—მახარაძის რაიონის შრომის საშ. სკოლა

32. მუჯირი ბადრი ისიდორეს ძე—მახარაძის III საშ. სკოლა

33. გოგმაჩიძე სერგო აკაკის ძე—მახარაძის რაიონის მერიის საშ. სკოლა

34. სამუშია იზოლდა ტერენტის ასული—წალენჯიხის რაიონის ჯვარის საშ. სკოლა

35. კოხრეიძე ლუიზა დუგლასის ასული—ქუთაისის პიონერთა და მოსწავლეთა სასახლე

36. ხონელიძე სევერიან შოთას ძე—ქუთაისის პიონერთა და მოსწავლეთა სასახლე

37. აფრიდონიძე ლუიზა გიორგის ასული—ქუთაისის პიონერთა და მოსწავლეთა სასახლე

38. ბუზიაშვილი ეკატერინე ილიას ასული — საგარეჯოს II საშ. სკოლა

39. დარბაისელი მზია შალვას ასული—საგარეჯოს II საშ. სკოლა

40. კუჭუაშვილი ალექსი ალექსანდრეს ძე—საგარეჯოს II საშ. სკოლა

41. აბრამიშვილი იასონ ალექსანდრეს ძე—გარდაბნის რაიონის ნორიოს საშ. სკოლა

42. კარახანოვი ქეთევან არსენის ასული—გარდაბნის რაიონის წავკისის საშ. სკოლა

43. შახულოვი ლუიზა არტაშის ასული—გარდაბნის რაიონის წყნეთის საშ. სკოლა

44. გაგნიძე ნუნუ ზოსიმეს ასული—გარდაბნის რაიონის წყნეთის საშ. სკოლა

45. კეკელია დიმიტრი შალვას ძე—გარდაბნის რაიონის წყნეთის საშ. სკოლა

46. ოძელაშვილი ცირა სოლომონის ასული—გარდაბნის რაიონის წყნეთის საშ. სკოლა

47. წოწკოლაური გურამ ნიკოლოზის ძე—საგარეჯოს რაიონის გომბორის საშ. სკოლა

48. ჭინჭარაული ნათელა გიორგის ასული—საგარეჯოს რაიონის გომბორის საშ. სკოლა

49. გრიგორიევა ლინა გრიგოლის ასული—საგარეჯოს რაიონის გომბორის საშ. სკოლა

50. ბალიაური ნანული პავლეს ასული—საგარეჯოს რაიონის გომბორის საშ. სკოლა

51. პაპიაშვილი პავლე შაქროს ძე—საგარეჯოს რაიონის გომბორის საშ. სკოლა

52. ზურაბიშვილი ზელიმი ოთარის ძე—საგარეჯოს რაიონის გომბორის საშ. სკოლა

53. რქინაული თამარ გიორგის ასული—საგარეჯოს რაიონის გომბორის საშ. სკოლა

54. არაბული ბალაზურ სუმბათის ძე—დუშეთის რაიონის პიონერთა სახლი

55. ბენდელიანი ფიქრია არჩილის ასული—დუშეთის რაიონის პიონერთა სახლი

56. ბენდელიანი ლიანა არჩილის ასული—დუშეთის რაიონის პიონერთა სახლი

57. გოგოჭური ნანული ხვთისოს ასული—დუშეთის რაიონის პიონერთა სახლი

58. ხორნაული მერი ხვთისოს ასული—დუშეთის რაიონის პიონერთა სახლი

59. გიგაური ნელი არჩილის ასული—თელავის 1-ლი საშ. სკოლა

60. სეხნიაიძე ნინო პლატონის ასული—თელავის 1-ლი საშ. სკოლა

61. ნაცვლიშვილი თინა ვასილის ასული—თელავის 1-ლი საშ. სკოლა

62. ბაზიერაშვილი თენგიზ დავითის ძე—თელავის 1-ლი საშ. სკოლა

63. ლაზარიაშვილი მირიან ლავრენტის ძე—თელავის 1-ლი საშ. სკოლა

64. ჯიოევი ცისანა მიხეილის ასული—თელავის 1-ლი საშ. სკოლა

65. ბოტკოევი ავთანდილ არჩილის ძე—თელავის 1-ლი საშ. სკოლა

66. შათირიშვილი გიორგი ნიკოლოზის ძე—თელავის 1-ლი საშ. სკოლა

67. მერაბიშვილი მერაბ შალვას ძე—თელავის 1-ლი საშ. სკოლა

68. ნიკოგოსოვი მიხეილ გრიგოლის ძე—აჭარის პიონერთა სასახლე

69. გოგიაშვილი ანზორ ხასანის ძე—ბათუმის 21-ე საშ. სკოლა

70. გვარამაძე გია გიორგის ძე—აჭარის პიონერთა სასახლე

71. გოროზია მანანა ილიას ასული—ფოთის პიონერთა და მოსწავლეთა სახლი

72. მალაზონია რომან ამირანის ძე—სამტრედიის რაიონის საჯავახოს საშ. სკოლა

73. ჯოხაძე ალბერტ ვლადიმერის ძე—გორის რაიონის მეჯვრისხევის საშ. სკოლა

74. დვალიშვილი ანზორ შალვას ძე—გორის რაიონის მეჯვრისხევის საშ. სკოლა

75. წილოსანი ვარლამ ამირანის ძე—ლანჩხუთის პიონერთა და მოსწავლეთა სახლი

76. ჭყონია გია მიხეილის ძე—ლანჩხუთის პიონერთა და მოსწავლეთა სახლი

77. ეკალაძე სპარტაკ ივანეს ძე—ქარელის II საშ. სკოლა

78. ჭერეტაშვილი ილია გიორგის ძე—ქარელის II საშ. სკოლა

79. კაკიაშვილი მანია დანიელის ასული—ქარელის II საშ. სკოლა

80. მასურაშვილი ჰამლეტ მარკოზის ძე—გორის რაიონის ზემოხვედურეთის საშ. სკოლა

81. ელჩიბეგაშვილი მარინე სამსონის ასული—ქარელის რაიონის რუისის რვაწლიანი სკოლა

82. გიგოლაშვილი ვაჟა ივანეს ძე—გორის რაიონის ქვახვრელის საშ. სკოლა

83. იკოშვილი სოსო გაიოზის ძე—ქარელის II საშ. სკოლა

84. ყაჩლაშვილი ცისნამი ვასილის ასული—ქარელის რაიონის ზემოხვედურეთის საშ. სკოლა

85. ჭყოიძე ცქრიალა ივანეს ასული—ქარელის რაიონის ზემოხვედურეთის საშ. სკოლა

86. გიგოლაშვილი შაქრო გიორგის ძე—გორის რაიონის ქვახვრელის საშ. სკოლა

87. კასრაძე ნათელა ზაქარიას ასული—რუსთავის მე-2 საშ. სკოლა

88. მესხი თამარ ბალავარის ასული—რუსთავის მე-2 საშ. სკოლა

89. თანდილაშვილი ვაჟა ვასილის ძე—რუსთავის მე-2 საშ. სკოლა

90. მამასახლისი ლალი მიხეილის ასული—კასპის რაიონის ახალქალაქის საშ. სკოლა

91. თარხნიშვილი მანანა გიორგის ასული—კასპის რაიონის ახალქალაქის საშ. სკოლა

92. შარბატოვი გივი ივანეს ძე—ახალციხის საშ. სკოლა

93. ხვადაგიანი ლალი აკაკის ასული—ცაგერის საშ. სკოლა

94. გზირიშვილი მანანა მიხეილის ასული—თბილისის მე-4 საშ. სკოლა

95. ლუდუშაური მარიეტა გიორგის ასული—თბილისის 62-ე საშ. სკოლა

96. კეშეყმაძე ეკა შალვას ასული—თბილისის 62-ე საშ. სკოლა

97. ქორქოლიანი დავით მიხეილის ძე—თბილისის 62-ე საშ. სკოლა

98. წიქარაძე სპარტაკ არჩილის ძე—თბილისის 62-ე საშ. სკოლა

99. ძიგრაშვილი თამაზ არკადის ძე —თბილისის 62-ე საშ. სკოლა

100. კოტრიკაძე ავთანდილ გიორგის ძე თბილისის 62-ე საშ. სკოლა

101. თოხაძე მერაბ ალექსის ძე—თბილისის 62-ე საშ. სკოლა

102. ხუგუაშვილი მურთაზ გიორგის ძე—თბილისის 62-ე საშ. სკოლა

ეროვნული ბიბლიოთეკა

103. კვარაცხელია თენგიზ ავთანდილის ძე—თბილისის 62-ე საშ. სკოლა

104. ბახტაძე თენგიზ ალექსის ძე—თბილისის 62-ე საშ. სკოლა

105. ნაჭყებია ალექსანდრე იასონის ძე—თბილისის 37-ე საშ. სკოლა

106. სტეპანოვა გალინა ევგენის ასული—თბილისის 37-ე საშ. სკოლა

107. ჩეტვერუხინი იგორ ანდრიას ძე—თბილისის 37-ე საშ. სკოლა

108. მესტვირიშვილი ქეთევან როსტომის ასული—თბილისის პიონერთა და მოსწავლეთა სასახლე

109. შარაბიძე მზევინარ ალექსანდრეს ასული—თბილისის პიონერთა და მოსწავლეთა სასახლე

110. გვათუა მიხეილ ნიკოლოზის ძე—თბილისის პიონერთა და მოსწავლეთა სასახლე

111. ჯავახიშვილი ნინო ალექსანდრეს ასული—თბილისის პიონერთა და მოსწავლეთა სასახლე

112. ფუთურიძე მაია გიორგის ასული—თბილისის პიონერთა და მოსწავლეთა სასახლე

113. ჯავახიშვილი ვანო ალექსანდრეს ძე—თბილისის პიონერთა და მოსწავლეთა სასახლე

114. ბეჟიტაძე მარინე თენგიზის ასული—თბილისის პიონერთა და მოსწავლეთა სასახლე

115. გოგუაძე მანანა ბორისის ასული—თბილისის პიონერთა და მოსწავლეთა სასახლე

116. ახობაძე ლია ალექსანდრეს ასული—თბილისის პიონერთა და მოსწავლეთა სასახლე

117. საბანაშვილი ლუიზა ბაგრატის ასული—თბილისის პიონერთა და მოსწავლეთა სასახლე

118. მახარაძე თემურ ვახტანგის ძე—თბილისის პიონერთა და მოსწავლეთა სასახლე

119. თუმანიშვილი გივი იოსების ძე—თბილისის პიონერთა და მოსწავლეთა სასახლე

120. ნაცვლიშვილი ალექსი გიორგის ძე—თბილისის 1-ლი საშ. სკოლა

121. ჯაფარიძე დავით ვახტანგის ძე—თბილისის 1-ლი საშ. სკოლა

122. ბოკუჩავა მანანა ბორისის ასული—თბილისის 1-ლი საშ. სკოლა

123. ხელაია ირინე სპარტაკის ასული—თბილისის 1-ლი საშ. სკოლა

124. ჩიქოვანი გია გიორგის ძე—თბილისის 49-ე საშ. სკოლა

125. გონჩარენკო ვლადიმერ—თბილისის 49-ე საშ. სკოლა

126. სუმბაძე ნანა ლონგინოზის ასული—თბილისის 1-ლი საშ. სკოლა

127. სესიაშვილი თამილა გიორგის ასული—თბილისის 126-ე საშ. სკოლა

128. ჩინჩალაძე ნინო ალექსანდრეს ასული—თბილისის 1-ლი საშ. სკოლა

129. ნონიაშვილი ნოდარ გიორგის ასული—თბილისის მე-8 საშ. სკოლა

130. შადური მარინე ივანეს ასული—თბილისის 23-ე საშ. სკოლა

131. მეტრეველი მერაბ შოთას ძე—თბილისის მე-10 საშ. სკოლა

132. ტატიშვილი ნანა ალექსანდრეს ასული—თბილისის 1-ლი საშ. სკოლა

133. მიქაბერიძე მანანა ოთარის ასული—თბილისის 1-ლი საშ. სკოლა

134. ქორდანია ადა შოთას ასული—თბილისის 39-ე საშ. სკოლა

135. ვოლერი ვიქტორია გრიგოლის ასული—ოდესის 117-ე საშ. სკოლა

136. ბონდარენკო ეკატერინე ვლადიმერის ასული—ოდესის 117-ე საშ. სკოლა

137. ფედოროვა ანა მიხეილის ასული—ოდესის 117-ე საშ. სკოლა

138. სპექტორი ირინა ალექსანდრეს ასული—ოდესის 117-ე საშ. სკოლა

139. რალნინოვა ოლგა ნიკოლოზის ასული—ოდესის 117-ე საშ. სკოლა

140. ტიხონოვი სერგო პავლეს ძე—მოსკოვის პიონერთა და მოსწავლეთა სასახლე

141. კობილერი ფირა მიხეილის ასული—მოსკოვის პიონერთა და მოსწავლეთა სასახლე

142. პუშკოვი ვიქტორ პეტრეს ძე—მოსკოვის პიონერთა და მოსწავლეთა სასახლე

143. სტავსკი ანატოლი პეტრეს ძე—მოსკოვის პიონერთა და მოსწავლეთა სასახლე

144. ნიკიშინი ვლადიმერ ნიკოლოზის ძე—მოსკოვის პიონერთა და მოსწავლეთა სასახლე

145. ქოლობოვა ინა ლეონიდეს ასული—ნოვოსიბირსკის პიონერთა და მოსწავლეთა სასახლე

146. დუდნიკი ვალერი ტიმოთეს ძე—ნოვოსიბირსკის პიონერთა და მოსწავლეთა სასახლე

147. შვედნიკოვი გენადი იურის ძე—ნოვოსიბირსკის პიონერთა და მოსწავლეთა სასახლე

148. რიბალენკო ვლადიმერ გენადის ძე—ნოვოსიბირსკის პიონერთა და მოსწავლეთა სასახლე

149. კაჩალოვი ვლადიმერ ალექსის ძე—ნოვოსიბირსკის პიონერთა და მოსწავლეთა სასახლე

150. გრიშანოვა ტატიანა ნიკოლოზის ასული—ქ. ორჯონიკიძის პიონერთა და მოსწავლეთა სახლი

151. ალეპოპულო ელისაბედი ნიკოლოზის ასული—ქ. ორჯონიკიძის პიონერთა და მოსწავლეთა სახლი

152. მასლიხოვი ვიაჩესლავი ვასილის ძე—ქ. ორჯონიკიძის პიონერთა და მოსწავლეთა სახლი

153. ბელოსოვი ალექსანდრე სიმონის ძე—ქ. ორჯონიკიძის პიონერთა და მოსწავლეთა სახლი

154. ეროშენკო ვლადიმერ ივანეს ძე—ქ. ორჯონიკიძის პიონერთა და მოსწავლეთა სახლი

155. კომაროვი ალექსანდრე—ქ. ორჯონიკიძის პიონერთა და მოსწავლეთა სახლი

156. ხეთაგუროვი რუსლან ალიხანის ძე—ქ. ორჯონიკიძის პიონერთა და მოსწავლეთა სახლი

157. კობალოევი ელბრუსი გიდის ძე—ქ. ორჯონიკიძის პიონერთა და მოსწავლეთა სახლი

158. სობოლევა სტალა ბორისის ასული—ქ. ორჯონიკიძის პიონერთა და მოსწავლეთა სახლი

159. გრამატიკოპულო ირინა კონსტანტინეს ასული—ქ. ორჯონიკიძის პიონერთა და მოსწავლეთა სახლი

160. სობოლევი ვლადიმერ ბორისის ძე—ქ. ორჯონიკიძის პიონერთა და მოსწავლეთა სახლი

ნორჩ მხარეთმცოდნეთა წრე—რუსთავის მე-2 საშ. სკოლა

ნორჩ მხარეთმცოდნეთა წრე—გორის რაიონის პედკაბინეტი

ეროვნული ბიბლიოთეკა

ნორჩ გეოგრაფთა წრე—თბილისის 62-ე საშ. სკოლა

ხის მხატვრული დამუშავების წრე—თბილისის 62-ე საშ. სკოლა

ნორჩ გეოგრაფთა წრე—თბილისის 1-ლი საშ. სკოლა

ნორჩ ისტორიკოსთა წრე—თბილისის 1-ლი საშ. სკოლა.

II. მხარეთმცოდნეობით მუშაობაში მოსწავლეთა ფართოდ ჩაბმისა და ნორჩ მხარეთმცოდნეთა მე-4 რესპუბლიკური შეკრების მომზადებასა და ჩატარებაში აქტიური მონაწილეობისათვის დაჯილდოებულ იქნენ „სახალხო განათლების წარჩინებულის“ სამკერდე ნიშნით:

1. ციცხვაია ხარიტონ გაბრიელის ძე—გომბორის საშ. სკოლის ისტორიის მასწავლებელი

2. როინიშვილი სამსონ ზაქარიას ძე—ქ. თბილისის 62-ე საშ. სკოლის გეოგრაფიის წრის ხელმძღვანელი

3. ცაკაშვილი მიხეილ ილიას ძე—თელავის IV საშ. სკოლის ისტორიის მასწავლებელი

ს ი გ ე ლ ე ბ ი თ:

1. კივილაძე აკაკი დავლოსტის ძე—თბილისის პიონერთა და მოსწავლეთა სასახლის მხარეთმცოდნეობისა და ნატურალისტური მუშაობის განყოფილების გამგე

2. მიქელაძე ირინა დავითის ასული—თბილისის პიონერთა და მოსწავლეთა სასახლის მხარეთმცოდნეობის კაბინეტის გამგე

3. ლოლუა ეთერ ევტიხის ასული—ამავე კაბინეტის პედაგოგი

4. რეხვიაშვილი ილია სარიბის ძე—ამავე კაბინეტის პედაგოგი

5. პრიხოდკო ვადიმ ვასილის ძე—ამავე კაბინეტის პედაგოგი

6. გოზალიშვილი დენეზა სტეფანეს ასული—ამავე კაბინეტის პედაგოგი

7. ბუჟღულაშვილი ციცკარა იოსების ასული—მხარეთმცოდნეობისა და ნატურალისტური მუშაობის განყოფილების მეთოდისტი

8. ხუნდაძე ციალა ალექსანდრეს ასული—ამავე განყოფილების მასობრივი მუშაობის ორგანიზატორი

9. პაიჭაძე ლიგია სამსონის ასული—სასახლის წიგნზე მუშაობის განყ. გამგე

10. უთმელიძე მარინე ტიმოთეს ასული—ტურიზმისა და ალპინიზმის კაბინეტის გამგე

11. გოგატიშვილი მიხეილ დავისის ძე—საჩხერის რაიონის ქორეთის საშ. სკოლის ისტორიის მასწავლებელი

12. ჭუმბურიძე ნიურა ალექსანდრეს ასული—თერჯოლის პიო-ნერთა სახლის დირექტორი

13. ზურაბიშვილი ალექსანდრა სოლომონის ასული—მცხეთის 1-ლი საშ. სკოლის ისტორიის მასწავლებელი

14. ჩაკვეტაძე არკადი ილარიონის ძე—ქუთაისის პიონერთა და მოსწავლეთა სახლის ნორჩ მხარეთმცოდნეთა სექციის ხელ-ი

15. ჩხეიძე ავთანდილ რევაზის ძე—გორის რაიონის განათლების განყოფილების გამგე

16. სულაქველიძე ვლადიმერ სერგოს ძე—გორის რაიონის ზემო ხვედურეთის საშ. სკოლის დირექტორი

17. სიხარულიძე სულიკო სერგოს ძე—გორის რაიონის პედკაბინეტის ნორჩ მხარეთმცოდნეთა წრის ხელმძღვანელი

18. ახალკაცი ოლია გიორგის ასული—ქარელის მე-2 საშ. სკოლის ისტორიის მასწავლებელი

19. ბაბლიძე ციური გიორგის ასული—ზემო ხვედურეთის საშ. სკოლის პიონერხელმძღვანელი

20. ელერდაშვილი ალექსანდრე გიორგის ძე—საგარეჯოს მე-2 საშ. სკოლა

21. ტატიშვილი ვაჟა ნიკოლოზის ძე—დუშეთის პიონერთა და მოსწავლეთა სასახლის მხარეთმცოდნეობის სექციის ხელ-ი

22. ციცხვაია ანზორ პოლიკარპეს ძე—აჭარის პიონერთა საოლქო სახლის მხარეთმცოდნეობის სექციის ხელმძღვანელი

23. მზარეულაშვილი ალექსანდრე სამსონის ძე—კასპის პიონერთა და მოსწავლეთა სახლის დირექტორი

24. ბუნტური გიორგი პეტრეს ძე—კასპის პიონერთა და მოსწავლეთა სახლის მხარეთმცოდნეობის წრის ხელ-ი

25. ვაჩიბერაძე ოთარ პარმენის ძე—მახარაძის პიონერთა და მოსწავლეთა სახლის მხარეთმცოდნეობის წრის ხელ-ი

26. ქანთარია ოლია გიორგის ასული—წალენჯიხის რაიონის ჯვარის საშ. სკოლის მასწავლებელი

27. ჯანგიძე მიხეილ ევგენის ძე—გარდაბნის პიონერთა სახლის ნორჩ მხარეთმცოდნეთა წრის ხელმძღვანელი

28. შოშიაშვილი ალექსანდრა ნიკოლოზის ასული—გარდაბნის რაიონის ნორიოს საშუალო სკოლის მასწავლებელი

29. კეკელია შალვა დიმიტრის ძე—გარდაბნის რაიონის წყნეთის საშ. სკოლის ისტორიის მასწავლებელი

30. თოფურია აბესალომ სარდიონის ძე—ფოთის პიონერთა და მოსწავლეთა სახლის ნორჩ მხარეთმცოდნეთა წრის ხელმძღვანელი

31. ბაკიძე ეთერ ვასილის ასული—კასპის რაიონის ახალქალაქის საშ. სკოლის ქართული ენისა და ლიტერატურის მასწ.

32. ნავროზაშვილი დავით გიორგის ძე—კასპის რაიონის ახალქალაქის საშ. სკოლის ხატვის მასწავლებელი

33. გელეიშვილი ნათელა ალექსანდრეს ასული—სამტრედიის რაიონის საჯავახოს საშ. სკოლის უფ. პიონერხელმძღვანელი

34. ვარდანიშვილი ლუარსაბ გრიგოლის ძე—გორის რაიონის მეჯვრისხევის საშ. სკოლის ისტორიის მასწავლებელი

35. მურვანიძე აკაკი აპოლონის ძე—ლანჩხუთის პიონერთა და მოსწავლეთა სახლის მხარეთმცოდნეობის წრის ხელ-ი

36. თავაძე აველინა ევტიფოს ასული—რუსთავის მე-2 საშ. სკოლის სასწავლო ნაწილის გამგე

37. ჩაკვეტაძე ალექსანდრა ფილიპეს ასული—ცაგერის საშ. სკოლის გეოგრაფიის მასწავლებელი

38. კალანდაძე ალექსი ანტონის ძე—თბილისის 62-ე საშ. სკოლის ხის მხატვრული დამუშავების წრის ხელმძღვანელი

39. სკრიპკო ბორის ვასილის ძე—თბილისის 37-ე საშ. სკოლის გეოგრაფიის მასწავლებელი

40. მაისურაძე ილია ლავრენტის ძე—პუშკინის სახ. პედინსტიტუტის ქართული ენის კათედრის დოც.

41. გაბუნია ლია ალექსანდრეს ასული—თბილისის 37-ე საშ. სკოლის ისტორიის მასწავლებელი

42. მილორავა ქეთევან ილიას ასული—თბილისის მე-4 საშ. სკოლის გეოგრაფიის მასწავლებელი

43. დავითაშვილი ნინო ვასილის ასული—თბილისის 1-ლი საშ. სკოლის გეოგრაფიის მასწავლებელი

44. ნანობაშვილი ნუნუ მიხეილის ასული—თბილისის 1-ლი საშ. სკოლის ისტორიის მასწავლებელი

45. ზურაბიშვილი იოსებ ბესარიონის ძე—სახალხო მთქმელი

46. ვოლერი გრიგოლ ბორისის ძე—ქ. ოდესის 117-ე საშ. სკოლის ნორჩ მხარეთმცოდნეთა ჯგუფის ხელ-ი

47. ფედოროვა რენა პეტრეს ასული—ოდესის 117-ე საშ. სკოლის ნორჩ მხარეთმცოდნეთა ჯგუფის ხელმძღვანელი

48. კრაიმანი მატუს იოსების ძე—მოსკოვის პიონერთა და მოსწავლეთა სასახლის ტურიზმისა და მხარეთმცოდნეობის განყ. გამგე

49. სტრომი სიმონ არონის ძე—ნოვოსიბირსკის პიონერთა

და მოსწავლეთა სასახლის ნორჩ მხარეთმცოდნეთა ჯგუფის ხელ-მძღვანელი

50. ალებოპული არტემიდა ივანეს ასული—ქ. ორჯონიკიძის პიონერთა და მოსწავლეთა სახლის ნორჩ მხარეთმცოდნეთა ჯგუ-ფის ხელ-ლი

III. ნორჩ მხარეთმცოდნეთა მე-5 რესპუბლიკური შეკრება ჩა-ტარდეს 1966 წლის იანვრის პირველ დეკადაში.

IV. საგეგმო-საფინანსო სამმართველომ (ამხ. ალ. კვაჭაძე) ბორის ძნელაძის სახელობის პიონერთა და მოსწავლეთა სა-სახლის 1966 წლის ბიუჯეტში გაითვალისწინოს ნორჩ მხარეთმცოდ-ნეთა შეკრებისათვის საჭირო თანხა.

V. აფხაზეთისა და აჭარის ასსრ განათლების მინისტრებმა, სამხრეთ ოსეთის ა/ო, ქალაქებისა და რაიონების განათლების გან-ყოფილებათა გამგეებმა უზრუნველყონ:

ა) ნორჩ მხარეთმცოდნეთა მე-5 რესპუბლიკური შეკრებისა-თვის მზადების საქმეში მოსწავლეთა ფართო მასების ჩაბმა;

ბ) საშუალო სკოლებთან და სკოლისგარეშე დაწესებულებებ-თან ნორჩ მხარეთმცოდნეთა მუზეუმების შექმნა და სექციების ჩა-მოყალიბება.

VI. სკოლების სამმართველომ (ამხ. დ. ჯავახია) თვალყური ადევნოს ამ ბრძანების შესრულებას.

საქართველოს სსრ განათლების

მინისტრი თ. **ლაშქარაშვილი**

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ვ ა მ ტ კ ი ც ე ბ,
საქართველოს სსრ განათლების მინისტრი
**თ. ვ. ლაშქარაშვილი**
1965 წლის 15 მარტი

# მითითებანი

## საღამოს (ცვლის) მუშა და სოფლის ახალგაზრდობისა და დაუსწრებელ ზოგადსაგანმანათლებლო სკოლებში მოსწავლეთა მიღების შესახებ

საღამოს (ცვლის) მუშა და სოფლის ახალგაზრდობისა და დაუსწრებელ ზოგადსაგანმანათლებლო სკოლებში მოსწავლეთა მიღების ორგანიზაციის გაუმჯობესების მიზნით საქართველოს სსრ განათლების სამინისტრო წინადადებას იძლევა ამ ტიპის სკოლებმა იხელმძღვანელონ შემდეგით:

1. საღამოს (ცვლის) მუშა და სოფლის ახალგაზრდობისა და დაუსწრებელ ზოგადსაგანმანათლებლო სკოლებში მიიღებიან ორივე სქესის 16 წლისა და მეტი ასაკის მოქალაქენი, რომლებიც მუშაობენ წარმოებებსა და დაწესებულებებში, კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებში, აგრეთვე ომისა და შრომის ინვალიდები.

**შენიშვნა:** ა) საღამოს (ცვლის) და დაუსწრებელი სკოლების III—VIII კლასებში მოსწავლეთა მიღებისას ამჟამად მთავარი ყურადღება უნდა მიექცეს იმ ახალგაზრდების მიღებას, რომლებიც დასაქმებული არიან სახალხო მეურნეობის ამა თუ იმ სფეროში;

ბ) გამონაკლისის წესით, საღამოს სკოლებში შეიძლება მიღებულ იქნენ ახალგაზრდები, რომლებიც არ მუშაობენ;

გ) პროფტექნიკური განათლების სისტემის მოსწავლეები საღამოს სკოლებში მიიღებიან შესაბამისი სასწავლებლის დირექტორის წერილობითი ნებართვით.

2. აკრძალულია 16 წლის ასაკამდე მოსწავლეთა მიღება საღამოს (ცვლის) მუშა და სოფლის ახალგაზრდობისა და დაუსწრებელ სკოლებში. ცალკეულ, აუცილებელი საპატიო მიზეზით გამოწვეულ შემთხვევაში, საკითხი გადასაწყვეტად უნდა

ეროვნული ბიბლიოთეკა

დაისვას საქართველოს სსრ, აფხაზეთისა და აჭარის ასსრ განათლების სამინისტროების, სამხრეთ ოსეთის ა/ოლქისა და ქ. თბილისის განათლების განყოფილებათა წინაშე.

3. სახალხო მეურნეობის რომელიმე დარგში მომუშავე რვაწლიანი ან ათწლიანი სკოლის რვაკლასდამთავრებული პირები ჩაირიცხებიან საღამოს (ცვლის) მუშა და სოფლის ახალგაზრდობისა და დაუსწრებელი სკოლების IX კლასში, რომელშიც სწავლების ვადა კანონით განსაზღვრულია სამი წლით (IX—XI კლასები).

4. ის პირები, რომელთაც დაამთავრეს ათწლიანი სკოლის მეცხრე კლასი ან საწარმოოსწავლებიანი საშუალო სკოლის მეათე კლასი და მუშაობენ სახალხო მეურნეობის ერთ-რომელიმე დარგში, ჩაირიცხებიან საღამოს სკოლის მეთერთმეტე კლასში.

5. იმ პირებს, რომელთაც სურთ საშუალო განათლების დამთავრების საბუთის მიღება უფრო შემცირებულ ვადებში, რეკომენდაცია უნდა მიეცეთ ჩააბარონ გადასაყვანი და გამოსაშვები გამოცდები ექსტერნის წესით.

6. საღამოსა და დაუსწრებელი ზოგადსაგანმანათლებლო სკოლების V—XI კლასებში მოსწავლეთა მიერ უცხო ენების შესწავლა სავალდებულოა. განსაკუთრებულ შემთხვევებში, საპატიო მიზეზების არსებობისას, სკოლის პედაგოგიური საბჭოს გადაწყვეტილებით, შეიძლება საღამოს (ცვლის) მუშა და სოფლის ახალგაზრდობის და დაუსწრებელი სკოლების 30 წლისა და მეტი ასაკის მოსწავლეთა უცხო ენის შესწავლისაგან განთავისუფლება. ამ კატეგორიის მოსწავლეთა საბუთში ან ატესტატში „უცხო ენის" გრაფაში ხაზი გაისმება.

**შენიშვნა:** საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს 1957 წლის 7 თებერვლის № 1/369 ცირკულარული წერილი „35 წლისა და მეტი ასაკის მქონე მოსწავლეთა უცხო ენების სწავლებისაგან განთავისუფლების შესახებ" ითვლება ძალადაკარგულად.

7. საღამოს და დაუსწრებელი ზოგადსაგანმანათლებლო სკოლების როგორც დაკომპლექტებულ, ისე ახლად გახსნილ კლასებში მოსწავლეთა მიღება წარმოებს ყოველწლიურად, თვითეული სკოლისათვის სახალხო მეურნეობის გეგმით გათვალისწინებული კონტინგენტის ფარგლებში.

**შენიშვნა:** სკოლებისა და კლასების დაკომპლექტებისას ყურადღება უნდა მიექცეს დაჩქარებული სწავლების I—II, III—IV და V—VIII კლასების ქსელის გაშლას.

8. სასწავლო წლის დასასრულს სკოლის დირექტორი მოსწავლეთა რაოდენობისა და შემდეგი სასწავლო წლის კონტინგენტის

სახალხო მეურნეობის გეგმის საფუძველზე, განსაზღვრავს, რომელ კლასში მოსწავლეთა რა რაოდენობა უნდა იქნეს მიღებული და, ამის შესაბამისად, აცხადებს სკოლაში მიღებას.

9. სკოლებში ახალი ნაკადის მიღება ცხადდება 15 მაისიდან 25 აგვისტომდე; სწავლებაში ახალგაზრდების ჩასაბმელად სკოლის დირექტორი, წარმოება-დაწესებულების ადმინისტრაციასა და საზოგადოებრივ ორგანიზაციებთან ერთად ატარებს ახსნა-განმარტებით მუშაობას, აქვეყნებს განცხადებებს, სარგებლობს ახალგაზრდობის კრებებით, ადგილობრივი გაზეთით და რადიოსატრანსლაციო ქსელით.

10. საღამოს (ცვლის) ზოგადსაგანმანათლებლო სკოლებში შემსვლელი პირი განცხადებასთან ერთად წარადგენს შემდეგ საბუთებს:

ა) სკოლის დირექტორის (გამგის) მიერ ხელმოწერილ და ბეჭედდასმულ მოწმობას ან ცნობას განათლების შესახებ;

ბ) ცნობას სამუშაო ადგილიდან;

გ) ცნობას საცხოვრებელი ადგილიდან;

დ) დაბადების მოწმობას;

ე) ცნობას ჯანმრთელობის მდგომარეობის შესახებ.

11. სკოლაში შემსვლელის განცხადებას და დოკუმენტებს ღებულობს სკოლის დირექტორი ან დირექტორის მოადგილე სასწავლო მუშაობის დარგში.

12. იქ, სადაც არის დაუსწრებელი საშუალო სკოლის სასწავლო-საკონსულტაციო პუნქტი, მოსწავლეთა მიღებას აწარმოებს პუნქტის გამგე. დაუსწრებელი საშუალო სკოლა ვალდებულია დაამყაროს კონტროლი საკონსულტაციო პუნქტების მიერ მოსწავლეთა ჩარიცხვის საქმეზე. მიღების დამთავრების შემდეგ პუნქტის გამგე 1-ლი სექტემბრისათვის სკოლას უგზავნის სასწავლებელში ახლად ჩაბმულთა დოკუმენტებს და ჩატარებული გამოცდების მასალებს.

13. ის პირები, რომელთაც სწავლაში სამ წელზე მეტი წყვეტა აქვთ და სკოლაში შესვლისას განცხადებასთან ერთად ვერ წარმოადგენენ დოკუმენტს განათლების შესახებ, აბარებენ შესასვლელ გამოცდებს წინა კლასის პროგრამით შემდეგ საგნებში:

V—VI კლასებში—მშობლიურ ენაში (წერითი), არითმეტიკაში (ზეპირი);

VII კლასში—მშობლიურ ენაში (წერითი), ალგებრაში (წერითი);

VIII კლასში—მშობლიურ ენაში (წერითი), ალგებრა-არითმეტიკაში(წერითი); გეომეტრიაში (ზეპირი);

IX—X—XI კლასებში—მშობლიურ ენაში (წერითი), გეომეტრიაში (ზეპირი).

ეროვნული ბიბლიოთეკა

**შენიშვნა**: სკოლებში ამ წესით მიღებული მოსწავლეები ვალდებულნი არიან გამოსაშვები (VIII და XI) კლასის დამთავრებამდე ჩააბარონ გამოცდები ყველა იმ საგანში, რომლებიც შედიან რვა კლასის დამთავრების მოწმობაში ან ატესტატში საშუალო განათლების შესახებ.

14. გამოცდების დროს წერითი სამუშაოს სახეები უნდა შედგებოდეს: მშობლიურ ენაში—წერითი ნამუშევრებისაგან სათანადო კლასისათვის განკუთვნილი წერითი მუშაობის თემატიკის მიხედვით; მათემატიკაში—VII-VIII-IX-X-XI კლასებში ერთი ამოცანისა და ორი მაგალითისაგან.

15. ზეპირი გამოცდები ტარდება ინდივიდუალური გამოკითხვის წესით.

16. გამოცდების ჩასატარებლად წერითი სამუშაოს ტექსტს, კითხვებს, ამოცანებსა და მაგალითებს ამზადებს შესაბამისი საგნის მასწავლებელი და ამტკიცებს სკოლის დირექტორი.

17. გამოცდები ტარდება სკოლის დირექტორის მიერ დამტკიცებული ცხრილით, ამასთან, ჯგუფში ერთ დღეს შეიძლება ჩატარდეს მხოლოდ ერთი გამოცდა.

18. საღამოს (ცვლის) და დაუსწრებელ ზოგადსაგანმანათლებლო სკოლაში შემსვლელს თვითეულ საგანში ცდის სათანადო საგნის მასწავლებელი და ასისტენტი, რომელთაც ამტკიცებს სკოლის დირექტორი.

19. გამოცდების შედეგებს იხილავს სკოლის პედაგოგიური საბჭო. შესაბამის კლასებში მოსწავლეთა ჩარიცხვა წარმოებს პედაგოგიური საბჭოს გადაწყვეტილებით და ფორმდება სკოლის დირექტორის ბრძანებით. სკოლაში ახალმიღებულ თვითეულ მოსწავლეზე უნდა შედგეს პირადი საქმე.

20. ტექნიკუმებისა და სხვა სპეციალური საშუალო სასწავლებლების მოსწავლეები, აგრეთვე ამ ტიპის და ზოგადსაგანმანათლებლო სკოლის კურსდამთავრებული პირები საღამოს (ცვლის) და დაუსწრებელ ზოგადსაგანმანათლებლო სკოლებში არ მიიღებიან.

21. დღის სკოლებიდან გარიცხული მოსწავლეები საღამოს სკოლაში მიიღებიან მხოლოდ გარიცხვის ვადის გასვლის შემდეგ იმ პირობით, თუ ისინი მუშაობენ.

ამ მითითებათა გამოცემასთან დაკავშირებით უქმდება საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს 1962 წლის 31 ივლისის

დამტკიცებული „მითითებანი საღამოს (ცვლის) ზოგადსაგანმანათლებლო სკოლებში მოსწავლეთა მიღების შესახებ“.

ეროვნული ბიბლიოთეკა

**საფუძველი:** საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს კოლეგიის 1965 წლის 12 მარტის დადგენილება.

საღამოს და დაუსწრებელი სკოლების
სამმართველოს უფროსი **რ. კანდელაკი**

---

ეროვნული
ბიბლიოთეკა

# შინაარსი


1. ბრძანება № 113—სკოლამდელ დაწესებულებათა მუშაობის გაუმჯობესების ღონისძიებათა შესახებ . . . . . . . . . . . . . . . 3
2. ბრძანება № 164—ექსტერნატის წესით გამოცდების ჩატარების საქმეში არსებულ ნაკლოვანებათა აღმოფხვრის ღონისძიებათა შესახებ . . . . . . 8
3. ბრძანება № 167—ქ. თბილისის № 2 სკოლა-ინტერნატის (მათემატიკა-ფიზიკის გაძლიერებული სწავლებით) სამეცნიერო-მეთოდური საბჭოს შექმნის შესახებ . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . 10
4. ქ. თბილისის № 2 სკოლა-ინტერნატის (მათემატიკა-ფიზიკის გაძლიერებული სწავლებით) დებულება . . . . . . . . . . . . . . 13
5. ბრძანება № 234—რესპუბლიკის ზოგიერთი რაიონის დაწყებათი სკოლების მუშაობის შემოწმების შედეგების შესახებ . . . . . . . . . . 21
6. მოხსენებითი ბარათი რესპუბლიკის ზოგიერთი რაიონის დაწყებითი სკოლების მუშაობის შემოწმების შედეგების შესახებ . . . . . . . . . . 24
7. ბრძანება № 242—თბილისის სკოლებში ბუფეტებისა და სასადილოების მუშაობის შემოწმების შედეგების შესახებ . . . . . . . . . . . . 42
8. ბრძანება № 25!—საქართველოს სსრ 14—17 წლის ასაკის მოზარდთა აღრიცხვის შედეგების შესახებ . . . . . . . . . . . . . . . . 45
9. ბრძანება № 252—ნორჩ მხარეთმცოდნეთა მე-4 რესპუბლიკური შეკრების შედეგებისა და მე-5 რესპუბლიკური შეკრების ჩატარების ღონისძიებათა შესახებ . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . 48
10. მითითებანი საღამოს (ცვლის) მუშა და სოფლის ახალგაზრდობისა და დაუსწრებელ ზოგადსაგანმანათლებლო სკოლებში მოსწავლეთა მიღების შესახებ . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . 62